

კართონი ებრეოვი

დსი-24 საათი



ქართული ქრონიკა 3 მოქმედებად და 8 სურათად

მოქმედი პირები

ნოვატა გოგინძე.
ნარგიზა.
საგო.
კალაღაკა.
გოგელია.
დინა ვარნაძე.
ე.კ.
თავარი.
ქარაიძე.
ანდრონიკაშვილი.
სუბათაშვილი.
მანიაშვილი.
ოქის ბენიკალ-გუბარნატორი.
საკრთველოს „დემოკრატიული“ მთარობის თავმჯდომარე.
გვარდიელი.
ცინის ჯაფარიძე.
მეკვი.
პორტის მილიციის უფროსი.
სოფლები, ყოფილი პატიმრები, ოსმალთა ოფიცრები,
ვილიციელები.

მოქმედა პირველი

სურათი პირველი

ლოზე რიფათა გადმოხტა. ხიშტიანი თოფი და ფუთა მიწაზე დააგდო. შემცივებული და ფეხშიშველა ოდა-სახლის კიბესთან მიიჭრა. სათქმელი გადაიფიქრა, ფუთას მიუბრუნდა, აღიღინდა:

ტყეში ხარი შემივარდა,
— გამო, გამო, გიშერაო!
ნაბდის ძველა იქ დააგდო,
გამოვარდა შიშველაო...

ბლუზა-შარვალი გაიხადა. დახეულ-დაკერბული პერანგი გამოუჩნდა. ზორბა ქარის-კაცის ტანსაცმელი გადაიცვა. ქული დაიხურა, ქამარზე ყუმბარა ჩამოიკიდა. პატრონბაჟი შემოირტყა. ვილასს გაურისხდა, მერე კეთილი გამომეტყველება დაიბრუნა.

რიფათა. ნარგიზა!.. ნარგიზა!.. (თავის გასამხნეველად ამოიმღერა) ნარგიზა!..

ნარგიზა (ყარი გაიღო, გამოჩნდა). უჰ... ასკერი!..

რიფათა. რიფათა ვარ, ნარგიზა.

ნარგიზა. რიფათა?!

რიფათა. ნუ გეშინია, მე ვარ. (დახეული ტანსაცმელი შეახვია. გასაკვა) ა, თუ მოკვდი, ჩემ მაგიერ ბლუზა-შარვალი დაიტირე. სად კვდები, არ თქვა.

ნარგიზა. სად, ბიჭო?

რიფათა. ბათუმში.

ნარგიზა. რატომ კვდები, რიფათა?!

რიფათა. ნუ პრინკულობ, გული კისერში მეჩხირება, მთელ ტანში მცეტხლავს.

ნარგიზა. ვის ებრძვი, ბიჭო?!

რიფათა. ქვეყანას!

ნარგიზა. რას ეყოფი, ბიჭო?!

რიფათა. ჩემს წილ ქვეყანას მე ვეყოფი, ნარგიზა.
ნარგიზა. შენი წილი ვინ თქვა?
რიფათა. მღვდელმა თქვა ყველა დაბადებულს თავისი წილი

ქვეყანა მოსდევსო.
ნარგიზა. ასკერის ტანსაცმელი უცვია, რიფათა!
რიფათა. ბოლად უქეთესი, აღვილად შევიპარებო.
ნარგიზა. ჯაშუშით?
რიფათა. ომია, ნარგიზა, ხომ ვიყავი მზვერავე.
ნარგიზა. როდის იყავი?
რიფათა. შენ რა გახსოვს, მერე სამი წელი გაქენდა.
ნარგიზა. ვინ ჩაგაცვია რიფათა?
რიფათა. ვინ ჩაგაცვია რიფათა?

რიფათა. სამი წლის წინაა, მე და ბაბაი ნატანებ-ზღვის მხარეს, ოჩხაურის ლელიანში, გენერალ მასნიაშვილმა გაგვგზავნა, ქართველ ჯარს ჭაობში გზა-ბილიკი ვასწავლეთ. მერე ჯავშნიანი მატარებელი მოვიდა. ასკერებმა რკინიგზა მოთხარეს, ჯავშნი გადაადგდეს, ქართველებმა ჯავშნი ლინდაგზე დასვეს, ჩიხში გადაიყვანეს, მერე ჩიხიდან ქუხილი ააყენეს, გაწყვიტეს და ამოვლიტეს, კაცის გორა დააყენეს. მერე ი მკვდრები ზოგი წაიღეს და ზოგი დამარხეს. უპატრონო ქონებას კაცი აღარ ძიობდა.

ნარგიზა. მკვდარს გახადე?
რიფათა. მაგას ვიკადრებ? საქორიაზე დადებულ ფორანიდან გადმოვიღე. ბაბასაც დივეშაღე, ნენასაც, სხვენზე ვინახავდი. ხან ბუხრის თავზე, ხან ბუხრის ძირას. ა, ჩემი ტანსაცმელი, შეინახე, თუ მოკვდები, ეს იტარე. (ფუთა კიბეზე მიუღლო)

ნარგიზა. სასიკვდილოდ მიდინარ, ბიჭო!.. (იღალავს.)

კიბეზე ვასასი გამოჩნდება.

ვასასი. დედუ!.. თათარი!.. თათარი!.. დაგვეცა!.. ასკერი!..
რიფათა. ნუ ყვირი, ვასასი ხანუმ, რიფათა ვარ, რიფათა!..
ვასასი. ა! რიფათაი—ასკერი?! დედუ!.. ქაქუთლებო, გაღმებო! გოგითიებო!.. ცეცხლაქებო!.. ქათამაქებო!.. ქარცევაქებო!.. ასკერები!..

ხმები. ასკერები!..

რიფათა. რიფათა ვარ, რიფათა!..

ხმები. ოსმალ!..

რიფათა. არა ვარ, ვგავარ, რიფათა ვარ, გოგითიქე!..

რამდენიმე ჰალარა კაცი გამოჩნდა, შეიარაღებულ ასკერს გარს შემოერთებენ.

რიფათა ვარ!.. რიფათა!

პირველი მეზობელი. ვინ ვარო?

რიფათა. რიფათა ვარ გოგითიქე!

პირველი მეზობელი (დააკვირდება). ვადელი?

რიფათა. კი, ვადელი. (ასლანი გამოჩნდა.)

პირველი მეზობელი. არ გაუშვათ, დაიჭირეთ!..

მეორე მეზობელი. ასლან ბატონო, უშველუ, ბადიში ვალავერი.

ასლანი. რამ გადაგვრია, ჯო?

რიფათა. საქართველო ბათუმში იღუპება!..

ასლანი. შეკარით!

რიფათა. არ მომეკაროთ! (გაპრაღებული ხიშტიანი ოფიცერი გაიშვირა.) საჯავახოს ხილს ბოლშევიკები მოადგნენ, ბათუმს — ოსმალს! საქართველო შუაში მოექცა. ისრისება, იჭყლიტება, ირაგება. მეზობლებო, ახლოს არ მომეკაროთ, თავზე ხელს ავიღებ! საჯავახოს ხილს მოადგნენ, ბათუმს შემოსევინ, წინ არ დამიდგეთ!..

ასლანი. ქვეყნის დაქცევას შენ ვინ გეკითხება, ბავო?

რიფათა. ჩემი წილი მე მეკითხება.

მეზობლები—კი, ვადიარია.

— დედუ!..

— ხოჯას მოუხმეთ, შეულოცეთ!..

— მღვდელი მოიყვანეთ, დედა ქრისტიანი ჰყავს!

— შამა მუსულმანი ჰყავს!

— ორივეს დაუძახეთ, ბატონო!

რიფათა. ტყუილა ირჯებით, ვალმა ქაქუთში მღვდელი მასწავლიდა. გამოღმა—ხოჯა, მაგათი ნუსხა ჩემზე არ გაჭრის.

პირველი მეზობელი. ხოჯამ ეს გითხრა, მუსულმანი ოსმალს ებრძოლეო?

რიფათა. როცა ქვეყანას უჭირს, სარწმუნოება არაფერ შუაშიაო, ხოჯამ თქვა.

მეორე მეზობელი. მღვდელმა რა გითხრა?

რიფათა. ყველას დასცხე, ნუ გეშინიაო.

ვასასი. ასკერის ტანსაცმელი გაცვია, შე ოხერო.

რიფათა. რაც ვიშოვე, ის მაცვია.

პირველი მეზობელი. პირველი შემხვედრი მენშევიკი წაგაძრობს თავის ნახაურს.

მეორე მეზობელი. ბოლშევიკები ცოცხლად შეგკამენ.

რიფათა. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეკამოს. ახია მასზე, ვი-

საც ორად გაუბობენ თავის ნახაპურს. ა, გაძეგვილი მაუზერი, ხიშტიანი თოფი, ახლოდან, შორიდან... ახლა ჩემთვის სულ ერთია, საქართველო იღუპება — ქვეყანას დავემ. ბოლშევიკი, მენშევიკი, ოსმალო და ნამასადლი — ყველასათვის მეყოფა, ე ჩანთა სულ ტყვეებია, ამას რომ ხედავთ, ბომბებია, ბომბები!..

ასლანი. შეკარით!..
პირველი მეზობელი. ვეცეთ ერთად ვეცეთ!..
რიფათა. დაგხოცავთ!..
ასლანი. შეილო!.. (მორე პაუზა)
რიფათა. ახლა რომ მაჯობოთ, ვიცი რას მიზამთ, მერე მოვლი სოფელი, გელმა და გამოღმა ქაქუთი, „დელი რიფათას“ დამიძახებთ, ზომ დამიძახებთ?..
პირველი მეზობელი. არა!..
რიფათა. კიი!..
ასლანი. მეზობლებო, ამის ბეუტურს რავა უსმენთ, ვეცეთ, ერთად ვეცეთ!..
რიფათა. ხიშტი!..
მეზობლები: — გიდელო, ჩქარა, თავზე გიდელო ჩამოაცვით!..
— გიდელო, ჩქარა, გიდელო!..
— გოდრები!.. გოდრები!..
რიფათა. ბომბი მკიდა!.. ჯო, ხიშტით გავიკაფო გზა მეზობლებში ხიშტით ვიტრიალო, არ გრცხვენიათ?! (თოფი გაისროლა) აუ! აველა გოდორს გახერტს.

ირველი მყოფმა შიში არ შეიმჩნია.

დედა (გამოჩნდა). სად მიხვალ, შეილო?
რიფათა. ჯანდაბაში, ჯანდაბის იქით — წვევარაში. წვევარაში იქით — კუპრსა და ნავთში!.. ნენე, მეექვსე ვარ, ხუთი სახლში გყავს მათ მოუარე... ვასასი ხანუმ, ჩემს ჩამოსვლამდე ნარგიზას. ვინმე თვალში რომ ჩახედოს, იცოდე, ჩამოვალ და ქაქუთი აირევა!..
ვასასი. ვაი, ნენა, შენ რალა ჩამოგიყვანს.

რიფათა მიიმღერის.

მეორე მეზობელი. გადელდა!..
ასლანი (ოვირებს). ის მაინც თქვი, რა ვამღერებს?!
რიფათა (ხალსით). თუ არ ვიმღერე, ვინმეს ასკერი ვებოლები და შორიდან კუს!.. აბა, რაი... (მიიმღერის. წავიდა.)
ასლანი. ვითომ ყაზილარმა დაგკძალა?!
ნარგიზა. ასლან ბატონო, ნუ იკადრებთ... (ნათქვამი. შერცხვა, სახზე ნაწნავი მიიფარა სოფელს სათქმელი გამოვლია, მიწაზე დასხდნენ.)

დედა. ღმერთო, შენი სახელის პირივე, ჩემი გადელებული რიფათა შინ მშვიდობით დამიბრუნე!..

ასლანი. ჩემო რალო, ოთურადად რომ ზრდიდი, ამას ვიზამდა არ იცოდი? მოთავდა მაი ამბავი. სწორედ გითხრა, შინ ხუთი გყავს და მათ მოუარე!..

დედა. დააბრუნეთ!..

შორიდან ზარბაზნების გუხუნის მოისმა, მოხუცებს სათქმელი მოუკვეთა ღამედა.

პირველი მეზობელი. მორჩა, აწი ველარ მოვიძიეთ... ჩაბნელდა.

სურათი მეორე

ციხე. გისოსიდან ღამის ღერე სინათლე მოჩანს. სიჩუმეში ზღვის ტალღამ გაიშხრიალა... სერგო მკრთალ სინათლეზე გაზეთის ნაგლეჯს ჩაპირაკიტებს. სხეებო აქამდე გაუგონარის მოლოდინში, ფიქრს მისცემიან.

გოგელია. მეცბრე ტალღა დაიკარგა.

სერგო (დახუთ გაუფის თვალს არ აშორებს). ითვლი?

გოგელია. აბა, რა ვქნა.

კვლე სიჩუმეა.

კალანდაძე (თავს წამოყუფს). გენერლებო, სმენა!..

გოგელია. კალანდაძე, გაგიყდი?!..

კალანდაძე. ექვსი გენერალი ერთმანეთს გადავაბი.

გოგელია. მეშვიდე არ გაგეძეცეს.

კალანდაძე. მაცალეთ და იმასაც გავაწარავ. (თავზე ჯაღო წაიხურა, შეფიქრება.) სანამ გენერლებს გავაწარავდი, ატამს ვჭამდი...
გოგელია. რას კამდი?

კალანდაძე. ატამს. უცებ ეს ატამის კურკა დედამიწად გარდაიქმნა. მიჭირავს ხელში დედამიწა, მთელი მისი მოწყობილობით — ავსტრალია, აზია, აფრიკა და რა ვიცი, გავშტერდი კაცი. ატამის კურკა დედამიწად რამ მომაჩვენა? დალახვროს ეშმაკმა... ისე, კაცმა რომ თქვას, ატამის კურკა დედამიწასავით ოღროჩოღროა. მერე, ე დედამიწა თუ კურკა მანამ მიჭირა ხელში, სანამ ის გენერლები არ გადავაბი ერთმანეთს.

გოგელია. დიღამდე თუ იძინებ, შე კაცო, დედამიწა ბლის კურკად მოგიჩვენება.

საც ორად გაუბობენ თავის ნახაპურს. ა, გაძეძგილი მათუზერი, ხიშტიანი თოფი, ახლოდან, შორიდან... ახლა ჩემთვის სულ ერთია, საქართველო რღებება — ქვეყანას დავკამ. ბოლშევიკი, მენშევიკი, ოსმალო და წამასალი — ყველასათვის მეყოფა, ე ჩანთა სულ ტყვეობა, ამას რომ ხედავთ, ბომბებია, ბომბები!..

ასლანი. შეკარით!..
პირველი მეზობელი. ვეცეთ, ერთად ვეცეთ!..
რიფათა. დაგხოცავთ!..
ასლანი. შვილო!.. (წირობ პაუზა)

რიფათა. ახლა რომ მაჯობოთ, ვიცი რას მიზამთ. მერე მოელი სოფელი, გღმა და გამოღმა ქაქუთი, „ღელი რიფათას“ დამიძახებთ, რომ დამიძახებთ?..

პირველი მეზობელი. არა!..
რიფათა. კიი!..

ასლანი. მეზობლებო, ამის ბეუტურს რაეა უსმენთ, ვეცეთ, ერთად ვეცეთ!..

რიფათა. ხიშტი!..
მეზობლები: — გიდელო, ჩქარა, თავზე გიდელო ჩამოაცვით!..
— გიდელო, ჩქარა, გიდელო!..
— გოდრები!.. გოდრები!..

რიფათა. ბომბი მკილია!.. ჯო, ხიშტით გაეიკაფო გზა, მეზობლებში ხიშტით ვიტრიალო, არ გრცხევენიათ?! (თოფი გაისროლა) აჟ! აჟელა გოდორს გახერცეს.

ორგვლვ მყოფმა შიში არ შეიძინია.

დედა (გამოინდა). სად მიხვალ, შვილო?
რიფათა. ჯანდაბაში, ჯანდაბის იქით — წყვიარაში. წყვიარაში იქით — კუპრსა და ნავთში!.. ნენე, მეექვსე ვარ, ხუთი სახლში გყავს მათ მოუარე... ვასასი ხანუმ, ჩემს ჩამოსვლამდე ნარგიხას ვინმემ თვალში რომ ჩახედოს, იცოდე, ჩამოვალ და ქაქუთი აირევა!..

ვასასი. ვაი, ნენა, შენ რაღა ჩამოგიყვანს.

რიფათა მიიღერის.

მეორე მეზობელი. გადელდა!..
ასლანი (ოყვირებს). ის მაინც თქვი, რა ვამდერებს?!
რიფათა (ხალსით). თუ არ ვიმდერე, ვინმეს ასკერი ვეგონები და შორიდან ჭუს!.. აბა, რაი... (მიიღერის წაეიდა.)
ასლანი. ვითომ ყაზილარმა დაგეძალა?!
ნარგიზა. ასლან ბატონო, ნუ იკადრებთ... (ნათქვამის შერცხუ, სახეზე ნაწნავი მიიფარა სოფელს სათქმელი გამოელია, შინაშე დასხდნენ)

დედა. ომერთო, შენი სახელის კირიმე, ჩემი გადელებული რიფათა შინ მშვიდობით დამიბრუნე!..

ასლანი. ჩემო რძალო, ოთურალად რომ ზრდიდი, ამას გიზამდა არ იცოდე? მოთავდა მაი ამბავი.. წწორედ გითხრა, შინ ხუთი გყავს და მათ წოუარეო!..

დედა. დააბრუნეთ!..

შორიდან ზარბაზნების გრუხუნი მოისმა, მოხუცებს სათქმელი მოეკვეთა ლამძება.

პირველი მეზობელი. მორჩა, აწი ველარ მოვიქვეთ... ჩაბნულა.

სუკათი მორა

ციხე. გისოსიდან ღამის ლურჯი სინათლე მოჩანს. სიჩუმეში ზღვის ტალღამ გაიშხრიალა... სერგო მკრთალ სინათლეზე გახეთის ნაგლეჯს ჩაჰკირკიტებს. სხეები აქამდე გაუგონარის მოლოდინში, ფიქრს მისცემიან.

გოგელია. მეცბრე ტალღა დაიკარგა.
სერგო (დახეულ გაქოს თვალს არ აშორებს). ითელი?
გოგელია. აბა, რა ვქნა.

კვლავ სიჩუმეა.

კალანდაძე (თავს წამოყოფს). გენერლებო, სმენა!..
გოგელია. კალანდაძე, გაგიჟდი?!..
კალანდაძე. ექვსი გენერალი ერთმანეთს გადავაბი.
გოგელია. მეშვიდე არ გაგექვს.
კალანდაძე. მაცალეთ და იმასაც გაგზავრავ. (თავზე ჯალო წაიხურა, შეფიქრდება.) სანამ გენერლებს გაგზავრავდი, ატამს ვქამდი...
გოგელია. რას ქამდი?

კალანდაძე. ატამს. უცებ ეს ატმის კურკა დედამიწად გარდაიქმნა. მიჰიზავს ხელში დედამიწა, მთელი მისი მოწყობილობით — ავსტრალია, აზია, აფრიკა და, რა ვიცი, გავშტერდი კაცი. ატმის კურკა დედამიწად რამ მომაჩვენა? დალახვროს ეშმაკმა... ისე, კაცმა რომ თქვას, ატმის კურკა დედამიწასავით ოღროიოღროა. მერე, ე დედამიწა თუ კურკა მანამ მექიზა ხელში, სანამ ის გენერლები არ გადავაბი ერთმანეთს.

გოგელია. დილამდე თუ იძინებ, შე კაცი, დედამიწა ბლის კურკად მოგეჩვენება.

ზღვიდან თოფის ხმა მოისმა!

სერგო. ვიღაცა დახვრეტეს.
 გოგელია. იარაღს მინც არ ყრიან!
 სერგო. იარაღი დაყრილი აქვთ.
 გოგელია. დახვრეტას ველოდებით.
 სერგო. ჩვენ მძევლები ვართ.
 გოგელია. პოდა, ისე იზავენ, როგორც ხმა გავარდა. ციხეში
 გამოკეტულ პატიმრებს ბოსფორის სრუტეში მიახვრეტენო.
 სერგო. სავსი გვირი ისე გასივდება და გაიბერება — დარდანელს
 ჩაკეტავს. ამას სანაოსნო ფედერაცია არ დაუშვებს. თუ დახვრეტა,
 სადმე ახლოს, კახაბერში...
 გოგელია. კაი შეღავათია.
 სერგო. კახაბრის ვილი ზღვის დონეზე დაბალია.
 გოგელია. შე კაცო, სასაფლაო ვერ აგირჩევია, ქვეყანას მო-
 უვლი?
 სერგო. გოგელია, სიცოცხლეზე ვფიქრობ, არც შენ ფიქრობ
 სიკვდილზე. აზრადაც არ გაივლებ, რომ ამ ღამით თუ გავვიყვანეს,
 ჭოველი წლის ჩვიდმეტ მარტს გულზე ყვაველებს დაგვაყრიან.
 კალანდაძე (თავს წამოყოფს). გენერლებო, სმენა!..
 გოგელია. შე კაცო!..
 კალანდაძე. მთელი ქვეყნის გენერლები გავამწკრივე და მა-
 მაჩემის ყანაში მიწას ვათოხნიებ.
 გოგელია. რამდენი მოთოხნეს?
 კალანდაძე. ბოლოში გაიტანეს, მანიაშვილის შტაბი ფარ-
 ცხავს.
 გოგელია. შტაბის უფროსი ძავანია არ გამოგრიხს.
 კალანდაძე. არა. (თავზე ჯვალო წაიფარა.)
 სერგო. კალანდაძე, ეს დახეული გაზეთი შენ შემობრტანე?
 კალანდაძე. დიახ, მე.
 სერგო. ვინ გადმოგცა?
 კალანდაძე. ვინც ყოველთვის...
 სერგო. აბა, მოუსმინეთ. (კითხულობს.) „მესამე: უალრესად დი-
 დი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი
 ბლოკისათვის უორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან,
 რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ

იყვნენ განწყობილი, გარკვეული პირობებით, საქართველოში საბჭო-
 ხა წყობილების დამყარების აზრისადმი...“
 კალანდაძე. კომპრომისი უორდანიასთან, ვინ თქვა?!
 სერგო (გაზეთში ამოიკითხავს). ლენინმა.
 კალანდაძე (წამოღებდა). ლენინმა.
 გოგელია. ლენინი!
 სერგო. დიახ. „პრავდა გრუზიი“, ნომერი ხუთი, 1921 წლის 6
 მარტი.
 გოგელია. ამხანაგო სერგო, კიდევ ერთხელ გამაგონე.
 სერგო. აბა, თვითონ წაიკითხე.
 კალანდაძე. საჯავახოს ხილზე საბჭოთაი ხელისუფლების დრო-
 შა ფრიალებს. ბათუმში დახვრეტას ველოდებით, ესაა საქმე? (გოგე-
 ლიას) სწორი ხარ, რევოლუცია არ ყოფილა ფაფის ქ:მა.
 გოგელია. არ ყოფილა და არც იქნება.
 სერგო. კალანდაძე, გოგელია მხრებზე შეისვი და გისოსიდან გა-
 ახედე.
 კალანდაძე (გოგელიას). შეგეკი, საჯავახოს ხილზე იქნებ დრო-
 შა დინახხო.
 სერგო. მოთმინებით დროშის ტარსაც დინახავ.
 კალანდაძე. მინაძღვ გოგელიას უღელი ვატარო?
 გოგელია (კალანდაძის მხრებზე წამოძვარა). დიდი ამბავი, შე კაცო,
 მუშამ თუ მუშის უღელი ატარა! ეს ზეწარი მომარწოდეთ. (წაწოდეს
 მხრებზე და სახეზე შემოიფარებს.)
 სერგო (გოგელიას). რაო, რას ხედავ?
 გოგელია. ქალაქი კუნავეტმა ჩანთქა, მერე რა ქალაქი! ზაფ-
 ხელში ბათუმის ბულვარი კაცის ცხონებაა. მალა — ლურჯი ცა, დაბ-
 ლა — ლარივით გაჭიმული ქუჩები. დედა რა ქალები არიან!.. ერთი
 ნაკაშიძის ქალები რად ღირან?
 სერგო. ამღერდი?
 გოგელია. რა იყო, შე კაცო, კალანდაძე თუ გენერლებს მიწას
 ათოხნიებს, მე ნაკაშიძის ქალებს გავეხუნჯო, თითს კი არ წამკვეთენ?
 (გარედან ხმაური მოისმის, გოგელია — კალანდაძეს.) კედელს გაეწებე!
 ხმები. აქეთ!.. აქ შემოაგდეთ!..
 რიფათას ხმა. რას მერჩი, ბიძია?
 ზედამხედველი (გამოჩნდება). ჯამუში ხარ, ჯამუში!..
 რიფათას კრტლავი ამოჰკრეს და იატაკზე გაშლართეს. კარი დაიკეტა.
 რიფათა. ჯამუშიც ხარ და წამაძალიცი...
 (ძირს გაგდებულ მანარას და ნახევრად ცარულ თოფაყს თავი მოუყარა, ჩექმის
 ამონარტამ ადგის მოისინჯავს.)

სერგო. ასკერი ხარ?

რიფათა. რიფათა ვარ, გოგირტივე. პატრული მთლად აბდალი ყოფილა. ვეუბნები ქართული ვარ, მეუბნება, ჯაშუში ხარო. რაფერ, ჯო?! ვეუბნები, ქართულია ჩემი დედა ენა, რიფათა ვარ, გოგირტივე. ხსლა, კარისკაცები სხლში ვარბიან, შენ თოფით ამდგარხარ, ამას ვინ დაგიჩერებს, ინტერნაციების დრო დადგა და შენც, ალბათ, ასკერის ტანსაცმლით შემოიბარე — ბოლშევიკების ჯაშუში ხარო. ნენე, ჯო! ავი რომ ვავიგონე, კინალამ ქუთუხე შევქანდი, მე არ მენდობია, ასკერის ბლუზა-შარვალს უჭერებს. აი ბლუზა-შარვალი, თოფი და მოწყობილობა მე და გენერალმა მანსიაშვილმა ოჩხამურთან დავიხელეთ. გენერლის გავონებზე საცილით თავი მოიკლეს, მერე, მაიხვანგი ბაბუაშენს დაუკაჯანო, მითხრეს და ასე ხირხიტით და კრაპუტნით შემკოქეს, ფორანზე დამაგდეს და ავერ მომათრიეს...

სერგო. რომელი ნაწილიდან ხარ, ბიჭო?

რიფათა. რაის ნაწილი, სოფელში ამბავი ამოიტანეს, საქართველო ბათუმში იღუპებო და ჩამოვედი.

სერგო. პირდაპირ ციხეში...

რიფათა. პირდაპირ არა, საღამომდე ქუჩაში ვიფრატუნე.

სერგო. ქალაქში რა ამბავია?

რიფათა. ნენეს გამომცხვარი ჭადი რომ არ მქონოდა, სული გამშებოდა, ხალხს მართალი უთქვამს — მენსევიებს ერთი გენერალი მანსიაშვილი ჰყავოთ კვიანია.

სერგო. მანსიაშვილი უპარტია?

რიფათა. რაეა, ჯო, პარტიაში კვიანია კაცი არ შედის?!

კალანდაძე. შენ ცოტა ენას მოუტევი!

რიფათა (ღეწარშემოსილ მოკვებებს, თვლი მოკრა). ნენე! შაიანი, ჯო!... ევეი კარი გააღეთ!..

გოგელია (კალანდაძის მხებებიდან ვადმოხტა). რა გაბლაკულებს, ბიჭო? რიფათა (სულს მოიბრუნებს). უბადა. იმხელაზე რომ იყავი აყანაყანა ლებული, ბოლშევიკი მეგონე.

გოგელია. რაო, ვინ მეგონეო?!

რიფათა. ბოლშევიკი, თურმე ოინბაზი ყოფილხარ. (ოცინის.)

სერგო. რიფათა, ბიჭო, რას ამბობენ, ბოლშევიკები როგორ არიანო?

რიფათა. რქიანები არიანო.

სერგო. რქიანები?..

რიფათა. ხოჯამ მოხრა, ვინც რქიანი შეგხვდება, ყველა ბოლშევიკიაო.

სერგო. რქები, წყვილად?

რიფათა. არა, ჯო, ცალი რქა ადგიაო.

სერგო (კალანდაძის მიათითებს). ამას რამდენი რქა აქვს?

რიფათა. რას ამბობ, ჯო, ამის თავზე რქას რა უნდა.

სერგო (გოგელის მიათითებს). იმას?

რიფათა. რაეა გეკადრება.

სერგო. ესენი ბოლშევიკები არიან.

რიფათა. ვინ, ჯო?!

სერგო. ჩვენ ყველანი.

რიფათა. იცინის.

კალანდაძე. რა გაციებს?..

რიფათა. ხუმბარი ხარ, ჯო! (იბვირბა.)

კალანდაძე. ხუმბარს მოგცემ!..

რიფათა (ყველას ცალ-ცალკე ჩააშტერდება). ნენე, ბოლშევიკები ამფერი ლამაზი კაცები არიან?! (გარშემო მყოფთ თვალი შეაქროს) გალმა ქაქუთში მღვდელი მასწავლიდა, გამოლმა — ხოჯა, დედა ქრისტიანი მყავს, მაჰა მუსულმანი. მღვდელი იძახდა, ორი ადგიაო, ხოჯამ — ერთიო, მე ხოჯას დავუჭერე.

კალანდაძე. მღვდელს რა შეწამე?

რიფათა. მღვდელს ეუთხარი, ორი რქა — ძროხა და მეტი არაფერი-მეთქი.

სერგო. თქვენს სოფელში აგიტატორმა თუ ჩამოიარა?

რიფათა. ერთხელ იყო.

სერგო. რაო?

რიფათა. ქვეყანა რევოლუციის ალში იწეებაო.

სერგო. შენ რა უთხარი?

რიფათა. არაფერი.

სერგო. შენმა მეზობლებმა რა უპასუხეს?

რიფათა. რომ დაიწეება, მერე ამოდიო.

სერგო. იმან რა თქვა?

რიფათა. რომ დაიწეება — გვიანია, ახლა ჩავაქროთო.

სერგო. მერე?

რიფათა. რა არის რევოლუცია, ჯო, ვერ იქნა და ვერ ჩაეხვლი.

კალანდაძე. რევოლუცია?

რიფათა. ჰო, რევოლუცია. ე ბიძია, მითხარით.

კალანდაძე. რევოლუცია არის ვადატრიალება.

რიფათა. რაის ვადატრიალება?

კალანდაძე. ქვეყნის ვადატრიალება.

რიფათა. ქვეყანა რაფერ ვადატრიალდება, ჯო?!

კალანდაძე. „რაფერ“ და... ა, ტაბურეტი, ხედავ?.. ხომ ხედავ, ავიღე ეს ტაბურეტი და გადავატრიალე. ამას ჰქვია რევოლუცია.

რიფათა. ნენე, ამ გადატრიალებულ ტაბურეტზე დასაჯდომი სადაა ჯო? (სხევი იღიმება.)

კალანდაძე. რევოლუციას დასაჯდომად არ სცალია. წინ მიდის, ჰენებ-ჰენებით.

რიფათა. სანამდე ირბენს, ჯო?

კალანდაძე. სანამ მთელ მსოფლიოს არ შემოივლის.

რიფათა. მერე?

კალანდაძე. რა მერე?

რიფათა. შემოირბინა, მერე სად ჯდება?

კალანდაძე. შენ გატყობ დაჯდომა გეჩქარება, მაგასაც გეტყვი.

რიფათა. იცოდე, აი ტაბურეტი გადატრიალებულია. სად ჯდება?

კალანდაძე შეფერვა

სერგო. უბასუხე.

კალანდაძე. ტაბურეტი გადავატრიალე და ვინც ზედ იჯდა, ისინი ქვეშ მოირაგვა.

რიფათა. მერე?

კალანდაძე. მერე, ამ ტაბურეტს გადამოვატრიალებ და მე და შენ დავჯდებით ზედ.

რიფათა. არ გამოდის, ჯო...

კალანდაძე. აბა, რა გინდა?

რიფათა. ვინც ფეხზე დარჩება, უსკამოდ, იმას რას უბირებ?

კალანდაძე. უყურე ერთი, ამ უაზილარს!..

სერგო. რიფათა, რევოლუცია ახალი ქვეყნის მშენებლობაა.

რიფათა. ალა მესმის, აბა, იმის რევოლუცია რად ვარგა, ძველ ტაბურეტს ატრიალებს ხან წაღმა და ხან უკულმა.

კალანდაძე. ჯაჩუმდი, ბიჭო!

რიფათა. ა, თვითონ პირაკრული ზის და მე მაჩუმებს...

კალანდაძე. ამხანაგო სერგო, ამ ბიჭს გავტყუბავი!..

რიფათა. ა, გაყოქილი ზის და იმუქრება! შენი რევოლუცია არ მომწონს, სერგო ბიძიამ რომ თქვა, ის მომწონს.

სერგო. რიფათა, ბიჭო, ამხანაგ კალანდაძეს თეორია არ ეხება, აქედან თუ მშვიდობით გავედით, მაუზერს დაეკიდებთ და, ჰაიდა!..

რიფათა. მაუზერი რად უნდა?

სერგო. მტრებისაგან დაგვიცავს,

რიფათა. ვერ დაგვიცავს.

სერგო. რატომ, ბიჭო?

რიფათა. ალა-ბეგები რომ იჯდა, იმ ტაბურეტზე დავჯდებო. სერგო. გაბრაზებული კაცის სიტყვას რას ჩააცვდი, აცალე. დაწყნარდება, მოიფიქრებს.

რიფათა. საფიქრელად ამაზე კაი აღვიღს სად ნახავს. ყანას თოხნის თუ რამეს აკეთებს, დაჯექი და იფიქრე.

სერგო. გადმოიტანე შენი ბარხანა. აგერ, ჩემს გვერდით. რიფათა (ნიშნის მოგებით). კალანდაძემ მიგბერტყავო... (სერგოს გვერდით მოთავსდა.)

სერგო. აპატიე, ალა ხომ იცი...

რიფათა (საიღუმლო ხმით). სერგო ბიძია, მართლა ბოლშევიკები ხართ?

სერგო. აბა, არა?..

რიფათა. ხოჯა და მღვდელი ორივე ბეჩი ყოფილა, ჯო!

სერგო. ბეჩები ყველგან არიან, მაგას ნუ იჯავრებ, დავიძინოთ. სალაც არის გათენდება.

რიფათა. კი, რაფერც შენ იტყვი...

გაირინდება. ყველა თავის ფიქრშია.

გოგელია (წამოჯდება). ციხის კარები თუ გაიღო და გადაერჩით, ამხანაგო სერგო, შენ იქნები რევოლუციის თავმჯდომარე.

სერგო. დაიძინე!..

გოგელია. მძინავს. (თავის საწოლზე გასწორდება.)

რიფათა. თოფრაკში კეცის ჭადი მაქვს.

სერგო. მჭადი?

რიფათა. ნენეს გამომცხვარი.

სერგო. დილით იყოს.

რიფათა. კაი...

მძლავრი ტალა შეასკდა ნაბის, მერე შრილით უკუიქცა და აღარ გომეორებულა.

ზედამხედველი (გამოჩნდა). გენერალ-გუბერნატორი გეახლათ. აღექით!

პატიმრები არ, განძრეულან. გენერალ-გუბერნატორი გამოჩნდა. მთხერხებული ადგილი შეარჩია.

გუბერნატორი. სერგო, შენთან საქმე მაქვს. სერგო. შენ, როგორც ვხედავ, იურისტის პროფესიას ჭალათის ხელობა ამჯობინე.

გუბერნატორი. გარეთ რომ გაგიშვან, ვითომ ადვოკატად იმუშავებდი?

სერგო. არც ერთ შემთხვევაში ჯალათად.
გუბერნატორი. დახვრეტით დაიწყებს!.. წამოდი.
სერგო. თუ ფიქრობ, აქედან გამიტყუო, იცოდე, უბრალოდ არ
ჩაგვივლის. შურს იძიებენ.

გუბერნატორი. ცოლ-შვილს გეფიცები არა.
სერგო. გაქცა და ვესროლოთო, არ გამოვივა.
გუბერნატორი. „გაიქცა-წაიქცა“ იმ არამზადებისათვის გა-
შოვიგონეთ, რომლებმაც არ იციან, თუ რატომ გემხრობიან.
სერგო. ხუმრობ.

გუბერნატორი. ნეტავი კი შემეძლოს. (გაჩაბებს.) მიუტა-
ნეთ ქამარი, ქუდი, ლაბადა.

სერგო. მაინც საღ მივდივართ?
გუბერნატორი. „პულმანის“ ვაგონში. მთავრობა გიხმობს.
სერგო. რა მთავრობაა, თუ ვაგონში ზის.

გუბერნატორი. სწორედ ამ ტრაგიკულ მთავრობას შეუძლია
ერთი თითის განძრევით სამასი კომუნისტი დახვრეტოს განუკითხავად.

სერგო. მერე, ეს ადამიანობაა?
გუბერნატორი. ადამიანობისათვის გიხმობენ.

სერგო. წავიდეო.
გუბერნატორი. წინ წამიძევი.

სერგო. გენერალ-გუბერნატორი ხარ, მიბრძანდით.
გუბერნატორი. შატიმარი ხარ, წინ იარე.

სერგო. სწორია, გაგიძღვები.
გუბერნატორი. მოიცა. (წინ გადაუდგა) მომყევო.

გუბერნატორი და სერგო გადიან.

რიფათა. ჯო!.. რავა ბაღნებივით წაიკიდნენ.

კალანდაძე. ჩუმად!..

გოგელია. შე კაცო, მთელ ციხეს შევატყობინოთ, სერგო წაიყ-
ვანეს! (კალანდაძე და გოგელია აძღვნიან უკანაღიან, შეეპასუხებიან)

რიფათა. დამლუბა..

გოგელია. რა გატირებს, შე კაცო?

რიფათა. ასკერის ტანსაცმელმა. დამაქცია.. ვიქნებოდი გარეთ,
ჯამოიარდა გუბერნატორი, ქუხს ბუხს — მის კაცებს. სერგო ბიძიას
დავიხსნიდი.

გოგელია. შე კაცო, აბდალი ხომ არა ხარ?

რიფათა. აჰ!

გოგელია. ასკერის ტანსაცმელი რომ არა, რაღას დაგიქერდნენ
და ვის გაიტოვდნი?

80

რიფათა. მართალი ხარ, ჯო... (სახელოთი სხვის იმშრალეს.)
გოგელია. მთელმა ციხემ იფხიზლოს!..

საკანდიან საკანში მორბეს ნიშნები ძლიერდება. რიფათას ბლაგილი წასკდა.

კალანდაძე. გადაირიე?

რიფათამ ბლაგილს უმატა.

გოგელია. ტირილი ლალატია! ლალატი, გესმის, შე კაცო... იმ-
ღერე!.. იმღერე!..

კალანდაძე. გაგათვე და ეს არის!..

გოგელია. იმღერე!..

რიფათა (ატირებული ხმით).

ტყეში ხარი შემვიარდა,
— გამო, გამო! ვიშვრაო!
ნაბდის ძველა იქ დაადგო,
გამოვარდა შიშველაო...

სხვებიც აღიღინდებიან. რიფათა ადვილს ტყეპნის, ცეკვა შეება, სხვებიც
აროკდნენ. სიმღერის მოტივი საკანს გაშორდა, შორიდან ისმის. ბიჭმა ცეკვა და-
ამთავრა, მუხლებზე დაეშვა, მიწას დაეშო, ჩაბნულა.

სურათი მესამე

ვაგონი. ღამის ლურჯი სინათლე გისოსიდან. დანათის ამხედრებულ წმიდა გიორგის
გამოსახულებას — რესპუბლიკის გერბს.

იქვე ახლოს შეიარაღებული მცველის — გვარდიელის სილუეტი ისახება.
ტყევის დევიანზე წვერმალი მოხუცი — მთავრობის თავმჯდომარე ზის,
მის სახესა და ხელებს შუქი ჰეღება. ფიქრში ჩაძირულ გენერალ-გუბერნატო-
რი გამოეცხადება.

გუბერნატორი. პატიმარი გეახლათ. (თავმჯდომარემ თვლი გაახი-
ლა) კომუნისტი...

თავმჯდომარე. დიას, კომუნისტი... აბა, თქვენთან საუბარს
რალა აზრი. აქვს, შემოიქვანეთ.

გენერალ-გუბერნატორი გვარდიელის როგორც დღეა. სინათლეში სერგო გამოჩნდა.
გენერალ-გუბერნატორი გვარდიელის როგორც დღეა. (ნათქვამი მოძრაობით არ
აქ დასვით, ჩემს პირდაპირ, კარგად შევხედო. (ნათქვამი მოძრაობით არ
გამოუხარავს, სერგო დაჯდა.) მიხარია, რომ ეგზომ გაგებულ კაცო ჩემს
საპატიმროში აღმოჩნდით, სხვა შემთხვევაში გაძნელებოდა. გაუნათ-
ლებელ ადამიანს ექვის გრძნობა აწვალებს, მით უფრო, როცა მტერს
ესაუბრება; არსის სიღრმეს ვერ სწვდება და ჰგონია, ატყუებენ. მოგ-
მართავთ როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს, ჩემმა მთავრობამ
იარაღი დაყარა; ახლა მთავარი ფიქრი და საზრუნავი ის არის, რომ
6. ვ. კანდელია

თქვენი ჯარები საჩქაროდ შემოვიდნენ აქ... საბჭოთა ჯარების შემოსე-
ლას ვჩქარობ მე—საბჭოთა წყობილების მტერი, სამშობლოსა და ხალ-
ხის წინაშე დაშვებული ჩემი შეცდომა ახლა თქვენ უნდა გამოასწო-
როთ ეშმაკთან კავშირი არ გამართლდა.

სერგო. არ მესმის.

თავმჯდომარე. ჩვენ ვფიქრობდით, ოსმალების მხედრობითან
გაერთიანებული ძალით საქართველოში კომუნისტებს არ შემოვუშვებ-
დით. ვფიქრობდით, ისინი იზრუნებდნენ ოსმალეთსა და კომუნისტებს
შორის ბუფერულ სახელმწიფოს შექმნაზე, ესე იგი, იზრუნებდნენ
დამოუკიდებელი საქართველოსათვის. მათთვის უკეთესი იყო საზღ-
ვარი კავკასიონზე, ვიდრე აქ, ხოფასა ან სარფში. ოსმალთა მხედრობი-
ნა წინდახედულობას ვერაგობა ამჯობინა და ამ გზით ბათუმის ოლქის
ხელში ჩაგდება მოიწოდინა. ჩემთვის ეს ცხადი გახდა, როცა ომი წა-
ვავი. ეშმაკთან კავშირს უარყოფთ დამარცხების შემდეგ. ჩვენს
შეცდომას თუ თქვენ, ქართველი კომუნისტები, ახლავე არ გამოსწო-
რებთ, შემდეგ ბათუმი დიდი ომის ფასად დაგივლებათ, და როდის
იქნება ეს „დიდი ომი“, არავინ იცის. ამიტომ, სამშობლო თუ ნამდვი-
ლი ჯარის იმ ნაწილებთან გამოვადგებათ, რომლებიც მერყეობენ და
ჯერ იარაღი არ დაუყრიათ, მთის ფორტები. იმათ ხელშია... ჯარისკა-
ციები და ოფიცრები სამშობლოში რჩებიან.

სერგო. თქვენი საუბარი ასე გავიგე: წინასწარ ვერ განჭვრიტეთ
ის საბედისწერო შედეგები, რასაც ახლა ხედავთ, დაემყარეთ უცხო
ძალას და არა საკუთარ ხალხს.

თავმჯდომარე. ნუგეშად მჩრეხება, რომ თვალახელილ კაცს ვე-
საუბრები. (ლიანის ზურგს მიყრდნობ, თვალები დახუჭავ. მცირე ჰაუზი.)
სერგო.. მე მინდა გამოვთქვა ჩემი პირადი აზრი.

თავმჯდომარეს ყურადღება დაეძყო.

დარჩით საქართველოში!.. ვიმეორებ, მე არავისი რწმუნება არა მაქვს
იმის გარდა, რომ საკანში წავეიციოთ გაზეთი, ექვსი მარტის „პრავედა
გრუზი“. საბჭოთა საქართველოში თქვენ ნახავთ ჩვენი ხალხისათვის
სასარგებლო სამუშაოს. თქვენ კარგად გიცნობენ ლენინი, სტალინი,
მთელი რუსეთი.

თავმჯდომარე. დიახ, სისხლის ღვრას საბჭოთა ხელისუფლე-
ბა მიჩვევია, ეს ცნობილია, მაგრამ ერთპარტიულობის პირობებში
შეორე პარტიის ლიდერებისათვის ნაცნობობა ვერაფერი თავდება.

სერგო. დარჩით პოლიტიკის გარეშე.

თავმჯდომარე (ლიანის ზურგს მიყრდნობ). პოლიტიკის გარეშე, ესე
იგი, ცოცხალი ლეში, საყვარი. ოდესღაც ჩვენ ერთი ოჯახის წევრები

ვიყავით — ერთპარტიელები. ახლა მტრები ვართ. ჩვენი გზები საბო-
ლოოდ გაიყარა. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ორი პარალელური ხა-
ზი შეერთდება. (თვალი დახუჭავ. თითქოს ბურანშია.) თქვენ თუ ვერ შეი-
ნარჩუნებთ საქართველოს, ჩვენ დავგვიბრუნეთ, ახლა ყველაფერს
ხედავთ.

სერგო. მე პატიმარი ვარ.

თავმჯდომარე. მე არ მეგულება სხვა რეალური ძალა... ჩემს
თანამებრძობებთან სასაუბრო აღარაფერი მაქვს იმის გარდა, რომ
ჩემს ბარგს კრეისერში ჩაალაგებენ, ჩემს გვამს მოუვლიან და ამით
საკუთარ პრესტიჟს დაიცავენ.

სერგო. ჩვენ მტრები ვართ...

თავმჯდომარე. დიახ, მტრობა პირველმა ვთქვი.

გუბერნატორი (გამოჩნდება). სად გეიბრძინებთ წაყვანას?..

თავმჯდომარე. სადაც იყო.

გუბერნატორი. საპატიმროში?

თავმჯდომარე. საპატიმროში... (თვალი დახუჭავ.) ჩვენ მალე ჩავ-
სხდებით.

სინათლე ქრება.

სურათი მეოთხე

საქანი. ვარინდების წაბი. ოფის ყრუ ხმა ციხის კედელს ექოდ ზოასკდა და
ზღვაზე გაიფანტა. იტაკზე ჩამოხილი რიფათა ზეწამიობრა, კარებს მიეძღვა.

რიფათა. ეპყე!..

ზედამხედველი (სარკმელში შემოიჭრება). კარცერი მოგნეტ-
რას?

რიფათა. სერგო ბიძია სად წაიყვანეთ?

ზედამხედველი. მამალი კომუნისტები სად მიჰყავთ, არ იცი? (სარკმელი დაეჭრა.)

რიფათა. კომუნისტებიო, რას ამბობს ი ბეჩი?

კალანდაძე. რიფათა, კომუნისტები და ბოლშევიკები სულ
ერთია.

რიფათა. სულ ერთიაო?..

კალანდაძე. რუსეთში ბოლშევიკებს გვეძახიან, მსოფლიო მას-
შტაბით — კომუნისტებს.

რიფათა. მსოფლიოს, ჯო, ბაბის ხაპვიით ნუ ატრიალებ.

კალანდაძე. ბიჭო, შენ, მგონი, „კომუნისტური მანიფესტი“
არ გაგიგონია, არა, ზომ?

რიფათა. თუ არა შენ გაიგონებდი სწორედ.

კალანდაძე. ეს ბიჭი გადამრეეს!..
გოგელია: ჩუმად!..

გასაღების ტრიალის ხმა. მრავალი ბოქლომი აჩხრიალდა. მრავალი კარი აჭრიალდა, საკანში სერგო გამოჩნდება.

პატიმრები. სერგო!..

სერგო. იმ მთავრობის მეთაურთან ვიყავი, რომელიც ახლა ვაგონში ზის, დატოვებს მშობლიურ მიწას, გაივლის ბოსფორის სრუტეს და სადღაც თავს შეაფარებს. მოხუცმა ყველაზე ტრაგიკულ მომენტში თავისი აღსარება კომუნისტებს გაგვანდო...

კალანდაძე. ციხის კარები თუ გაიღება?

სერგო. კრეისერის პირველ საყვირზე გაიღება ციხის კარები.
გოგელია. ღია კარებთან ხაფანგი არ დაგვიგონ.

სერგო. ხაფანგი დაგებულა. ქალაქი ოკუპანტებმა დაიკავეს, მხედრიონის პირისპირ ვდგავართ. საომრად გაიღება ციხის კარები.

გოგელია. ჩვენ, უიარაღო პატიმრები?..

კრეისერის საყვირის ხმა, მოკლე და მკვეთრი.

გოგელია. მიდიან?..

სერგო. ახალი ერა დაიწყო!..

ხალისიანი მოტივი შემოიჭრება და მანამ არ მინელდება, ვიდრე ყველა კარი არ გაიღება. ციხის კედლებიც კი თითქოს სადღაც გაქრა, ახალშენებლობის ხარხარის დაემსგავსა. სიღრმეში ლარივით ქუჩა და ბოლოს ჩაქუფრული ზღვა გამოჩნდა. დღემგებინდანი გათავისუფლებული პატიმრები შემოდინ. თავი მოიყარეს აღამიანებში, რომელთა ასპარეზი ახლა გაიხსნა, ამათთვის ციხიდან განთავისუფლებულ ბა მიზნის დასაწყისია და არა საზღვრის ბოლო.

კრეისერის საყვირის ხმა განმეორდა.

სერგო. ნაპირს დაშორდნენ.

შემომატებული პატიმარი (ქალარა). ჩვენ რა ვქნათ?

სერგო ტაბურეტზე დაჯდა. დაწვრილები მაგიდა, აქამდე რომ თვალს არ ხედებოდა, რიფთაზე გამოათრია, ზედ მუშტი დაქკრა და სერგოს წინ დაუდგო. აღამიანებს ღრმა ფიჭვი დაეუფლა, ხმას არ იღებენ.

ზედამხედველი (გამოჩნდა თავგზაუნეული). ბატონებო, თავისუფლებას! თავისუფლება. იგემეთ!..

რიფათა. გაჩერდი, შებრუნდი, მახარა აიწი... ასე! (ზღვამხედველს პიტლავი ამოკრა.) ქვითა ვართ. (ზღვამხედველი მიიშალა. ინციდენტმა უწყურადღებოდ ჩაიარა.)

კრეისერის საყვირის შორეულად ყრუ ხმა.

სერგო. ბოსფორისაკენ აიღო კურსი.

კალანდაძე. ჩვენ რა ვქნათ?

ზედამხედველი (ყვავ გამოჩნდება). თავისუფალი ხალხის ციხეში გაჩერების უფლება არა მაქვს, მიბრძანდით!

რიფათა. ჯო, ციხეც ჩვენი, ველარ გაიგე?

ზედამხედველი. ციხეს რას ჩააცივდით, ქვეყანა თქვენია!.. (ცრუ მუდარით.) ბატონო კომუნისტებო, მიბრძანდით და გვიხელმძღვანელებთ!

გოგელია. შე კაცო, ქუჩაში ასე შტერებივით ხომ არ გაცეცხვით, მოფიქრება გვაცალე.

სერგო (ყვალს). ციხის ტანსაცმელი და შიშველი ხელები! ეს არის ჩვენი ავლა-დიდება. (მარშის ხმა.) გესმით? ოკუპანტები პატრულს ანაწილებენ.

ზედამხედველი (ყვავ შემოქაჩანდა, მერხი შემოიტანა). ბატონო კომუნისტებო, მიბრძანდით და გვიხელმძღვანელებთ!..

გოგელია. შენ, ბიჭო, სანამ გაგაკოჭავდე, გაჩუმდი.

ყოფილი პატიმრების ნაწილი მერხზე ჩამოჯდა.

სერგო. რას იტყვით, ამხანაგებო?

გოგელია. პირველი, ნაკაშიძის სახლს დავესხათ, ანდამატი ქალები არიან. მთელი ოფიცრობა თავშეყრილი იქნება...

სერგო. გოგელია...

გოგელია. ოფიცრობას იარაღი ავყაროთ, აბა, მეტი რა, შე კაცო...

სერგო. იქნებ შევიააროთ კიდევ.

კალანდაძე. ვინ შევიააროთ?!

სერგო. ვისაც იარაღი აქვს და ხმარება იცის. იმათი ძალით ოკუპანტები უნდა გავრეკოთ.

კალანდაძე. ჯერ მსოფლიო რევოლუცია და მერე ბათუმი! რიფათა. ჯოო!..

კალანდაძე. შენ გაჩუმდი. (სხვებს.) ბათუმი სად წავივია, რევოლუციას მსოფლიო მასშტაბში გავხედოთ.

სერგო. კალანდაძე, თუ კაცი ხარ, ბათუმის გათავისუფლებამდე მსოფლიო რევოლუცია გადადევ.

კალანდაძე. მტრის ძალებით განწმენდილი ქალაქი კომუნისტებს რად გვინდა? (ყვალს.) გვინდა?..

გოგელია. შე კაცო, ცარიელა ხელებით, კოვზი თუ არ მიაშველე, ფაფას ვერ შექამ.

კალანდაძე. მტრის შევეურიგდით?!

სერგო. გამოვიყენოთ!

გოგელია (ყველას). შე კაცო, რევეკომის თავმჯდომარედ ახსნა-
წაგ სერგოს ვასახელე.

ისმის ოსმალეთის იმპერიის ჰიმნია

სერგო. ოკუპანტებმა სახელმწიფო დროშა აღმართეს.
კალანდაძე. მსოფლიო ატმის კურკა მგონია — ბათუმს მეცი-
ლება?!.. აუ!

მარშის ხმა, ყურადღება დაიძაბა. გამოჩნდა ასკრებობით გარემორტყმული ოსმა-
ლთა მხედრიონის ორი ოფიცერი.

ოფიცერი. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს დე-
მოკრატიული მთავრობა იტალიურ კრეისერზე ჩაჯდა და უცხოეთში
გაიქცა. ამერიიდან მთელი ოლქი, თქვენებურად აჭარა, პირველი დე-
დის — ოსმალთა მთავრობის მფარველობაში გადავიდა. (სხვა ტონით.)
ბათუმისა და მისი ოლქის გუბერნატორი და მთავარსაბჭადლი ბატონი
ქიაზიმ ბეი ბრძანებს: (ქალღიმილით, მაგრამ შიგ არ იყურება.) ქართველმა
კომუნისტებმა ოცდაათხუთი საათის განმავლობაში დატოვეთ ქალაქი
და მთელი ოლქი, საჯავახოს ხიდთან შეუერთდით წითელ არმიას —
თქვენს ძმებსა და ბიძაშვილებს. გადაეცით ქართველ კომუნისტებს,
რომ ოსმალეთის იმპერია თავისი არსებობის დღიდან ხალხთა შორის
მშვიდობას თესავს, ამიტომ კომუნისტებს ბათუმის ოლქის გარეთ, ნა-
ტანებში მოვითმენთ.

მეორე ოფიცერი (ოფიცერს). ბატონო ხაირი, დაამატეთ: ბა-
თუმისათვის ჩვენ სისხლი დაგვდარეთ, სისხლი! მეთერთმეტე არმიის
იმედი ნუ გექნებათ.

სერგო. მეთერთმეტე არმიისა ნუ გეშინიათ, იგი აჯანყებულების
დასახმარებლად მოვიდა.

მეორე ოფიცერი. დიახ, იქ მივიდა, სადაც აჯანყება იყო.
ამიტომ, ისეთივე აჯანყება რომ აქაც არ მოაწყობთ, წინადადებას გაძ-
ლევენ, ოცდაათხუთი საათის განმავლობაში დატოვით აქაურობა.

სერგო. ბატონებო, ნუ გეწყინებათ, ცხვირიდან თუ ძმარს გა-
დენენ, რადგან ისტორიულად ბათუმი მუდამ საქართველოს ეკუთვნის.

მეორე ოფიცერი. მოაშორეთ ეს „ისტორია“. ისტორიულად
არავის არაფერი არ ეკუთვნის. განა ამერიკელებს ამერიკა ეკუთვნის?
ოსმალის — ოსმალეთი? ისტორიულად არც თქვენ — ბოლშევიკებს
არაფერი არ ეკუთვნის, ძალით აიღეთ რუსეთი.

სერგო. უკაცრავად, ბატონო ოფიცერო, რუსეთი რუსმა ხალხმა
აიღო, ჩვენ — ციხეში ვართ.

მეორე ოფიცერი. ძალამ შექმნა ისტორია, სუსტებს საბუთად

არ გამოადგებათ. თქვენ რომ დაპყრობის გემო იცოდეთ, სულ სხვა
კილოზე იჭიკჭიკებდით, ასეთია ჩემი განმარტება.

ოფიცერი. ბატონ ქიაზიმ ბეის ბრძანება განმარტების გარეშეა,
ოცდაათხუთი საათის განმავლობაში ქალაქი დაცალეთ. მშვიდობით.

ოფიცრები და მათი დაცვა გადიან. ყოფილ პატიმრებს მდგომარეობა
არ შეუცვლიათ. მცირე პაუზა.

სერგო. ოცდაათხუთი საათი?! გათენებადღე უნდა გამოიძენოს
ბინა, ტელეფონი, მორზეს აპარატი და სამუშაო ოთახები.

კალანდაძე. გუბერნატორის სახლია ასეთი.

სერგო (რიფთას). გუბერნატორის ნაჭრამ სკამზე დავჯდეთ?

რიფათა. ტილიფონი და აპარატი თუ მართო იმ სახლშია, დავ-
ჯდეთ, აბა, რა ექნათ.

ციხის ზედახედივლამ ტელეფონის აპარატი მაგიდაზე დახეთქა, სხვების ყურა-
დღება ვერ მიიქცია.

სერგო. ახლავ, ვიდრე იარაღს დაყრიდნენ, ქართული ჯარის
გენერალიტეტთან კავშირი დავამყაროთ.

ყოფილი პატიმარი. ქართული ჯარის ნაწილებიცა და ოკუ-
პანტებიც, თრევე, ჩვენი მტრები არიან, ჩვენ ალყაში ვართ, გავსრუ-
ტენ.

მეორე ყოფილი პატიმარი. დაცდა ჯობს.

სერგო. ლოდინი ღალატია, მოქმედება — რისკი აი დილემა...
გოგელია. ერთსაც ვიტყვი. ციხის კარები გამოვიკეტოთ და
ვივადეთ შიგ, ჩუმად.

კალანდაძე. მსოფლიო ატმის კურკა მგონია, ეს რას მეუბნება!
გოგელია. შე კაცო, შიშველი ხელებით ახლა გადარეულებიც
აღარ დარბიან.

კალანდაძე. ვინც ნამდვილი კომუნისტი, ის შიშველი ხელები-
თაც უნდა ეკვეთოს მტერს!

სერგო. კიდევ რას იტყვი!..

გოგელია (თიქოს მუდარით). ნაჟაშიდის სახლს დავესხათ...

სერგო. გოგელია!

გოგელია. ვიხუმრე შე კაცო...

სერგო (ყველას). ერთი სიტყვით, არის ძალა, რომელიც ყველა

მოძულეს ერთ კონად შეკრავს.

კალანდაძე. რა ძალა ამისთანა?

სერგო. მიწის სიყვარული..

ყოფილი პატიმარი. ეროვნულ ღირსებას არ დავიჭირებენ.

სერგო. მიწის სიყვარული პირუტყვმაც იცის.

ყოფილი პატიმარი ჩვენ კომუნისტები ვართ, არ დაგვიყვებენ.

სერგო. ფაქტის წინაშე თუ დავაყენებთ?

ყოფილი პატიმარი. რას გულისხმობთ?

სერგო. თავგანწირვას!

ყოფილი პატიმარი. სამხედრო სარდალი რომ არ გვყავს?..

სერგო. სარდლობასაც ისინი გასწევენ.

ქალანდაძე. შტერმა გვისარდლოს?!

სერგო. სარდალიც ის არის, ვისაც არმია ჰყავს. გოგელია, შენი ვართუდით ქალაქში რამდენი გენერალი იქნება?

გოგელია. შე კაცო... აქ თუ არიან — ცხრა, თუ გაიქცნენ — არც ერთი.

სერგო. სწორია. რიფათა. დიდი გენერალი ერთი ჰყავთ, მაზნიაშვილი.

რიფათა. მაზნიაშვილი... მაზნიაშვილი? თბილისიდან წიფამდე სერგო. მაზნიაშვილი... მაზნიაშვილი? თბილისიდან წიფამდე

ჩვენი ყველაზე საშიში მტერი სწორედ ის იყო... ვინ იცნობს მაზნიაშვილს? (ყველამ ერთმანეთს გადახედა.)

რიფათა. მე ვიცნობ. ოჩხამურის ლელიანში ერთად ვიბრძოდით.

სერგო. რიფათა გოგითქე, ჩემი თანამემწყე ხარ!

რიფათა. გენაცვალე სულში... სერგო ბიძია, მაზნიაშვილი ახლა ქალაქშია.

სერგო. საიდან იცი, ბიჭო?..

რიფათა. საჯავახოს ხიდი ააფეთქა, ბოლშევიკებს გზა გადაუჭრა და თავისი ჯავახით აქეთ წამოვიდა. ჩიხშია მომწყვედებული, აბა, სად იქნება?..

სერგო. რიფათა გოგითქე, მიწა ვახეთქე, მთელი ქალაქი გადააბრუნე და მაზნიაშვილი რევეკომში მოიყვანე.

რიფათა. სადაა რევეკომი?

სერგო. სანამ შენ გენერალს აღმოაჩენდე, რევეკომიც გვეყოლება და მისამართიც გამოჩნდება.

ზედამხედველი (შემოქაჩანდა). ბატონო კომუნისტებო, ციხის ჯალავანთან ქსლები გელოდებათ.

ქალების გაგონებაზე ყველა თავისებურად „შელამაზდება“, გოგელხამ წვერულვაში დივარცხნა, რიფათამ თავისი თოფრაკი მომებნა:

სერგო (ქამარს შემოიკერს). ქალები! გესმით, მარტო არა ვართ. მაინც ვინ არიან?

ზედამხედველი. ზოგის ცოლი, ზოგის საცოლე, ზოგის და... (თავისთვის.) ზოგის მამის სული...
სერგო. წავიდეთ. (ნაბიჯს მოუჩქარა, სხვებს გაასწრო, გადიან.)

რიფათა (დარეტიანებულმა თოფრაკი მხარზე მოიგდო). ნენე, მაზნიაშვილის ვიცნობ, მარა ამ ღამე რას გავაგნებ და ვის ვკითხო...

ტელეფონის ზარის ხმაზე გაყვირებულმა შეათვალიერა აპარატი, ყურბოლი აიღო. ყვირილი ემსის. ყურბოს ჩახედა.

რა თქვი?.. ციხე? რევეკომია, რევეკომი!.. კომუნისტები ვართ?.. შენ ვინ ხარ? მილიციის უფროსი, მერე ჯო... ვინც გარბის გაიქცეს, შენ ფეხი არ მოიტევალ, ახლა მე მომისმინე: შენმა მილიციელებმა, ქალაქში ვინ სად ცხოვრობს თუ იციან?.. დიდი-პატარა?.. ჰოდა, ორი მილიციელი გამომიგზავნე, ჩქარა! ვინ ვარ და, რიფათა ვარ, გოგითქე!.. (გახარებულმა ყურბოლი დაღო და იმავე წამს ზარის ხმამ შეაერთო, ყურბოლი აიღო, უფრო თამადა) რა გაყვირებს... ვინ ვარო?.. ყორღანის მეთელე? ეტლი არ წაუყვანია?! ჰოდა, აქ მოიყვანე! ჩქარა! გენერალ მაზნიაშვილს ვეძებ, ჩქარა! მიწიდან ამოვიღებთ და რევეკომში მოვიყვანთ. აბდალი ხომ არ ხარ? აბა, რას კითხულობ! ციხეში ვართ. ჩქარა! ჯო!.. (ყურბოლი დაღო, ზედამხედველი შეეფეთა, გაუღიმა) შენ არ გაქცეულხარ, ჯო?

ზედამხედველი. არა!..

რიფათა. აგი რა გკვირია ხის ბუდეში?

ზედამხედველი. მაუზერი, რიფათა. მოიხსენი, ჯო... (მაუზერს ღველი გადაიკიდებს.) ასე, მომყევი, ჯო! ციხის კარებთან, იმ ბლომა ქალებში მე არავინ მომიკითხა? ზედამხედველი ქაქუთიდან პირდაპირ ციხეში რომ შემოვარდი, შენს მოკითხვას ვინ მოასწრებდა.

რიფათა. მომყევი, ჯო... (თოფრაკში მჭადი შეათვალიერა, უკან ჩააბრუნა, თავის სიმღერას დღინებს. ბლუზაჩაშვებულნი ზედამხედველი აედევნება.)

გოგამეღება მორა

სურათი მხატვნი

მდიდრულ მორთულ სასტუმრო დარბაზი. როიალზე ჩემოდანი დგას, მაგ-
ლაზე — ბოთლი შამპანური. მაგიდიდან მოშორებში, რბილ სავარძელში გენერალს
სუმბათაშვილი ისვენებს. მის პირდაპირ გენერალი ანდრონიკაშვილი
ლი პერზე თვალმპყრობილი ზის. ნასპინძლის ქალიშვილები ეკა და თამარა
უკანა პლანზე სხედან. ყველანი თავისთვის დიდებულენ „სამშობლოს“ მულოდს,
მწუხარე განწყობილებით.
დინა ვახნაძე მაგიდასთან დგას. თავადის მშვენიერ ასულს ინგლისური
კოსტიუმი აცვია.

სუმბათაშვილი. მასპინძლები დავამწუხრეთ...
თამარა. ერთად ყოფნა გენუგეშებს, გენერალო.
სუმბათაშვილი. ერთად ყოფნამ ჩაილულის წყალი დალია.
კიდევ რამდენიმე საათი და მორჩა...

ეკა (უნებლით). ჩემოდნები სად დატოვეთ?
სუმბათაშვილი. ეკა, ეკუშკა, როცა ქვეყანა ილუპება, ჩემო-
დანი რა საკითხავია.

თამარა. დიახ, იმ კრესერის ზარიც გვესმოდა.
ანდრონიკაშვილი. ვირივით ზღაოდა. მამატივით, წარმოშო-
ბით ქიზაყელი ვარ.

დინა. იმის მაგიერ, რომ ევროპიდან სამხედრო მინისტრები ჩა-
მოეყვანათ — სოციალისტებს სტუმრობდნენ. ძალის ყბა გამოიბეს.
სუმბათაშვილი (თითქოს თავისთვის). ერთი სიტყვით, „ტიტო-
ნიკი“ დაილუპა.

დინა. რას იტყვის ბატონი ანდრონიკაშვილი?
ანდრონიკაშვილი. გეთყუა, გრამოფონი მომართეთ, აქამ-
ბაზებიდან“ კარუზო მომასმენინეთ.

დინა. ბატონებო, ძალა რომ მქონდეს, თქვენ ყველას დაგბოცე-
ლით.
ანდრონიკაშვილი. ღმერთო ჩემო, რა დეგაშავეთ?!
სუმბათაშვილი. ცოცხლებსა გვხედავს.

დინა. დიახ, ქართველი ჯარისკაცი იარაღით დგას, თქვენ ბარგი
ჩააწყვეთ!
სუმბათაშვილი. მთავრობა და შთავარსკრადალი ვაიქცენენ.
დინა. უმოქმედობას გაქცევა სჯობს!
სუმბათაშვილი. თავგები გარბიან.

დინა. მთის ფორტებიდან ზღვა ხელისგულზეა — ომი განაგრძეთ!
წითელ კავალერაას კახაბრის სიმაგრეები ეყოფა — სათაგურში მო-
ამწყვდევეთ! ალაღვინონ რიონზე ხიდი, რა გამოუვათ? თქვენ მეთერთმე-
ტე არმიას სჭარბობთ. კომუნისტებს ერთი გენერალიც კა არა ჰყავთ;
თქვენ რუსეთის საიმპერატორო შტაბის აღზრდილები ხართ. ბატონე-
ბო, სამხედრო ხელისუფლება გამოაცხადეთ, უპარტიოების დიქტა-
ტურა! გენერალურა ბრძოლა გამართეთ; თუ ამას არ იზამთ, და-
მოუცილებელი საქართველოს იღვა ოცნებაშიაც აღარ გაივლით. რას
დალუმიდთ, მოქმედების ძარღვი წაგვრთვით?

ანდრონიკაშვილი. ნამდვილად... ეს წყველი კლასთა ბრძო-
ლა სულ ქალების ოინებია. ეკა, შენს კარგად ყოფნას, ერთი ფინჯანი
ყავა კიდევ მომართვი, ძილა მერევა.

ეკა. ახლავე...
დინა. ეკა!
ეკა (შეჩერდება). სტუმარია:
დინა. მეც სტუმარი ვარ.
ეკა. თქვენც მოგართმევთ.

დინა. არა, აქედან გაგყარე!
ანდრონიკაშვილი. თავადის ასული, არაფრით არა მჭერა,
რომ თქვენ მუზეუმის თანამშრომელი ხართ.

სუმბათაშვილი (თითქოს თავისთვის). მერე რა მუზეუმი!
კრეისერში ჩაალაგეს და, ჰაიდა — პარიზში.
დინა. მამატივით, გენერლებზე თუ ეგზომ გაზვიადებული წარმო-
დგენა მაქვს. გამიგონია, ნაპოლეონიც გენერალი იყო, თანაც კორსი-
კელი; ერთი შუტა ხალხის შვილი. ეკა, ყავა მიართვი.

ანდრონიკაშვილი. ჩვენს თავზე ორი ხანჯალი ტრიალებს.
დინა. ბატონებო, ნუ მოკვდებით, ვიდრე ცოცხლები ხართ!..
შემოდის მაიორი ქარუშიძე.

ქარუშიძე (შეშოკებული). ბატონებო, სამასი კომუნისტი ვათა-
ვისუფლეს!.. ბარემაც, ზოოპარკის კარი გაეღოთ...
დინა. სამას ნაციხარს ოცდაათი გვარდიელი გაუსწორდება,
ოლონდ იმოქმედეთ!.. მაიორო, შენ ტირი?.. გიორგის ჯვრის სრული
კავალერი...

ქარუმიძე. არიერგარდული ფრონტის სარდალმა იარალი და-
ყარა, გენერალი მახნიაშვილი თავისი ჯავშნოსნით საბარგოში დგას...
ბრძოლა დამთავრდა.

დინა. მაიორო, გენერალი მახნიაშვილი მთავარ ძალებს შემო-
უერთდა.

ქარუმიძე. არა, უცხოეთში წსმსვლელნი მიმოიკითხა. ალბათ,
აქ მოვა. (ჩუმად) ომის დმერთმა იარალი დაყარა..

ანდრონიკაშვილი. მამასადამე, ხალხი ზეიმობს?..

ქარუმიძე. ზეიმისა რა მოგახსენოთ. ოსმალებმა სახელმწიფო

ალამი გამოიღეს. წინ წყალი, უკან მეწყერი.

ანდრონიკაშვილი. ბოლშევიკებსაც ეს ეკადრებათ, მუშები

ახლონ.

ქარუმიძე. თითსაც არ გაანძრევენ. მსოფლიო რევოლუტია მი-

წების განუყოფელი სალაროა, ბანკროტი! ერთგული საზღვრების

მოშლა პროგრამაში აქვთ.

სუმბათაშვილი. მაიორო, ჩვენ ცოცხლებში არა ვჭერთ

ვართ..

ანდრონიკაშვილი. ბატონებო, ჩვენ ვსუნთქავთ!

ქარუმიძე. დიახ, დიახ, გენერალო, ბრძანეთ.

სუმბათაშვილი (სიტყვა ჩასწარა). აბა რა ბრძანოს, თქვენ

ბრძანეთ და ჩვენ შევასრულებთ. (ყვალს) ძალიან მინდა ვიმოქმედო,

დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ თავში არავითარი აზრი არ მომდის.

აბა, თვითონ იფიქრეთ, საიდან უნდა მქონდეს აზრი, მარწუხებში

ვართ.

ანდრონიკაშვილი (უნებლიეთ და პათეტიურად).

За горами горы, тучами повиты,
Засеяны горем, кровью политы.

სუმბათაშვილი. ვისი ლექსია?

ანდრონიკაშვილი. აბა, რილასთვის გპირდებით ლექსი და

ომის მომგონი.

სუმბათაშვილი. ჰოდა, შენც ისეთ რამეს ნუ ამბობ, რაც

ალარ გპირდება.

ქარუმიძე. გადაგვარებული შთამომავლობის სადღეგრძელო

შემასკით.

დინა. შეასკით.

ანდრონიკაშვილი. ყმაწვილო, აქ გენერლები სხედან, აბა

ვინ შეგასმეებს? თვითონ დაისხით.

მკა (ყურს მიუვლებს). ეტლი გაჩერდა.

დინა. კარი გაუღეთ.

ქარუმიძე. არა, მახნიაშვილი ასე არ დააბრაზუნებს.

დინა. მძინე გააღეთ!..

გამოჩნდნენ რიფათა, ბლუზაჩაშვილი ყოფილი ზედამხედველი და
შეიარაღებული გოგელია.

რიფათა (მუხები მუხლებში ებლანება). შეიძლება?

ქარუმიძე. ვინ გნება?

რიფათა. თავად ნაკაშიძის სახლი.

ქარუმიძე. ნაკაშიძის სახლში ბრძანდებით.

გოგელას სლოკინი იუტყვება.

რიფათა (გოგელას). წყნარად იყავი, ჯო. (დამხედვრთ შეათვალი-
ვრებს.) ხელი არ გაანძრიოთ და ქოთქოთი არ ატეხოთ. ვისაც ვეძებთ,
იმას მოვნახავთ, არა და წავალთ.

ქარუმიძე. ყმაწვილო, ვინ ბრძანდებით?

რიფათა (სხვებს ათვლივრებს). რეკომი.

ანდრონიკაშვილი. უკაცრავად, ეს რას ნიშნავს?

რიფათა. კომუნისტები ვართ.

ანდრონიკაშვილი. კომუნისტები?!

რიფათა. კი, მხოლოდ ეს არა. (ყოფილ ზედამხედველზე მიუთითა.)

მეგზურად წამოვიყვანე.

ეკა. მიერთვით.

რიფათა. რა არის ეს?

ეკა. ხაჭაპური.

რიფათა. მაწყენს.

გოგელია. (დაასლოკინებს). ნაკაშიძის ქალები რომელია?

ეკა. ჩვენ ვართ, ის ჩემი უფროსი დაიკოა.

გოგელია. შეკაცო, ნაკაშიძის ქალის გამომცხვარი ხაჭაპური რაგა
გაწყენს. (ხაჭაპურის ნაჭერი პირში ჩაიღო, თამარსაც გადახედა, დაასლოკინა.)

მამათქვენი რომელია?

ეკა. მამა ოზურგეთშია.

ქარუმიძე. ყმაწვილებო, მაინც რა გნება?

რიფათა. არ გვითქვამს, აუ, ბოდიშს ვიხდით. ჩვენ, ბიძიებო, გე-

ნერალ მახნიაშვილს ვეძებთ. გვიბრძანეს რეკომში მოიყვანეთო.

ანდრონიკაშვილი. რეკომი?! სად არის ეს რეკომი?

რიფათა. აგერ, გუბერნატორის სახლში.

ანდრონიკაშვილი. გუბერნატორის სახლში — კომუნის-
ტები?!

რიფათა. კი ბიძია.

სუ მბათაშვილი. ბოლშევიკები?
რიფათა. მაი სულ ერთია. მთელი ქალაქი მოვიარეთ, ცალკე მი-
ლიცია ეძებს, სად არ ვიყავით, საბარგოში გვითხრეს — პორტში წა-
ვიდაო. გავიქეციოთ პორტში — სადგურშიაო, სადგურში — ნაკაშიძის
სახლშიაო, და მოვედით.

გოგელია. ციხიდან გამოსვლამდეც ამას ვამბობდი, პირველად
ნაკაშიძის სახლს დავესხათ-მეთქი, ვინ დამიჭერა!
რიფათა. მერე, სადაა რომ დავიჭერეთ? (სხვებს.) ჩვენმა თავ-
მჯღომარემ დავგარიგა: ბოლიში მოუხადეთ და წამოდიოთო. ჩვენც ბო-
ლიშს ვიხდით და მივდივართ. (თავისიანებს.) ჰაიდა, წავიდეთ, ჯო-
(სხვებს.) გენერალი მაზნიაშვილი თუ გამოჩნდეს, უთხარით: მივლი
რეველოში ეძებს, არც დამალვა იფიქროს — და არც აფერი. რიფათა გო-
გითქემ მოგაკითხა, ასლანა გოგითქემ ბოლიშმა-თქვა, გამოდმა ქაქუ-
თიდან. ათას ცხრას თვრამეტში, აპრილის თვეში, მდინარე ოჩხამურთან
ასკერების წინააღმდეგ ომში ქართველ ჯარს რომ გზას უჩვენებდა,
იმან-თქვა. იცოდე, გლახა საქმეზე ასლანის ბოლიში შენთან მოცი-
ქულად არ მოვიდოდა-თქვა. ასე გადაეცით.

რიფათა. თავისი სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, კარებში შეუშინებდა
გამოჩნდა შუა ტანის მკერდით, ჰალარა კაცი, მარცხენა ხელი მხარზე შავი ნაჭრით
აქვს ჩამოკიდებული, მარჯვენა ხელის მტევანიც შეხვეული აქვს. ღვედაყურის
მსხვილი ჯოხი ეჭირავს ხელში. საფრონტო ფორმა აცვია.

ქარუმიძე. გენერალი...
რიფათა. მაზნიაშვილი!... (ყველა წამოიღებდა) ნენე, ამას! ტანსაცმე-
ლი არ გამოუცვლია, სამი წლის წინათაც ეს ეცვა... (გოგელის.) ჩქარა
რეველოში, სერგოსთან!

გოგელია და ყოფილი ზედამხედველი მიდიან.
დინა. თქვენი თავმჯღომარე სერგო? სერგეი ივანიჩი...
რიფათა. ჰო, ასე ეძახიან. (რიფათამ მაზნიაშვილის ყურადღება რომ
ვერ მიიქცია, წინ დაუდგა.) გენერალი!..

მაზნიაშვილი. ყმაწვილო...
რიფათა. რიფათა ვარ, გოგითქემ. სამი წლის წინათ ოჩხამურის
ხილთან ერთად ვაბრძოდით.

მაზნიაშვილი. ერთად?.. კარგად ვიბრძოდით... (გინერლებს
მიუბრუნდა.) რა განკარგულება მოახდინეს წასვლის დროს?..

დინა სხვა ოთახში გავიდა.

სუ მბათაშვილი. არავითარი.
მაზნიაშვილი. ვის გადაბარეს მთავარსარდლობა?
სუ მბათაშვილი. ბედის ანაბარად დაგეტოვეს.
მაზნიაშვილი. თქვენ რაღას დაელოდეთ? (პაუზა.) მაიორი
იქნებ თქვენ მიასუსხოთ.

ქარუმიძე. მე, მაიორი ქარუმიძე, თავს ვაღიბებულად ვთვლი
ჩემს ჯარისკაცებთან ვიყო, ვიღრე პირში სული მიღვას.
მაზნიაშვილი. თქვენ, გენერალი? სადაც არის კომუნისტები
ყელში გწვდებოან.
ანდრონიკაშვილი. მე ძალი. არა ივარ, რომ სიკვდილის
ხანს სადმე გქადავიკარგო.

მაზნიაშვილი სუ მბათაშვილს მიუბრუნდა.

სუ მბათაშვილი. წავალ, როცა ჩემს დივიზიას უკანასკნელი
ჯარისკაცი დატოვებს. სულ მალე... ჯარისკაცები გარბიან.
მაზნიაშვილი (შეფიქრება). მტრის განადგურება იყო ჩემი
მიზანი, მაგრამ კაცი არ მომიკლავს, ახლა თანახმა ვარ.

ქარუმიძე. თქვენ გენერალი?
მაზნიაშვილი. ჩემი ხელით დავხვერტდი ჩემს მთავარსარ-
დალს, სიამოვნებით... მისი უნიჭო ბრძანება ღრმა ჩანაფიქრი მეგონა,
თურმე თვალი გაქცევაზე ეჭირა. (მზერა რიფათაზე შეუჩერდა.) ბიჭო, მეხსი-
ერება თუ არ მალატობს, პაპაშენს ასლანი ჰქვია.

რიფათა. გაგახსენდა, გენერალი!..
მაზნიაშვილი. აქ რას აკეთებ?

გამოჩნდა სერგო.

რიფათა. ის გეტყვის, ამხანაგო სერგო, იცნობდეთ, გენერალი
მაზნიაშვილი!

სერგო. თქვენ გენერალი მაზნიაშვილი ხართ?

მაზნიაშვილი. სწორედ ასეა.
სერგო. გენერალი, ბევრი ლაპარაკის დრო არ არის. თქვენ ახ-
ლავე უნდა ჩაუდგეთ ქალაქის დაცვას და ოკუპანტებისაგან გაწმენდას.
ასეთია რეველომის გადაწყვეტილება. თქვენ გელაპარაკებთ რეველომის
თავმჯღომარე.

მაზნიაშვილი. ჩაა/სიტყვა რეველომი?
სერგო. რეველოპოლიტიკური კომიტეტი, ესე იგი, საბჭოთა ხელისუფ-
ლება.

მაზნიაშვილი. დიახ, მგონი ისინი იყვნენ, ცეცხლითა და მახ-
ვილით ცდევდნენ სოჭს ვადალმა.

სერგო. ჩვენ კომუნისტები ვართ!

მაზნიაშვილი. დიახ, იარალი ჯერ არ დაგვიყრია.

სერგო. სანამ დაყრიდეთ, მანამ იჩქარეთ, გენერალი, უკანასკნე-
ლად გაძლევთ წინადადებას, დრო არ ითმენს, გესმით, რა ხდება ქა-
ლაქში?

მაზნიაშვილი. მე იმ არმიის არიერგარდული. ფრონტის სა-
დალა ვარ, რომელიც თქვენ გებრძვის.

სერგო. გენერალო, თქვენი ნიუა და გამოცდილება კომუნისტებს
გვირდება.
მაზნიაშვილი. მე უკვე ვთქვი, თქვენს წინააღმდეგ მებრძოლი
არმიის სარდალი ვარ.

სერგო. გენერალო, გაძლევთ ხუთ წუთს. გადაწყვიტეთ, უარს
თუ შეტყვევით — დაგხვრეტო!.. (რიფათას.) ტფუ, გენერალ-გუბერნატო-
რმა მიჯობა.

რიფათა. რით გავობა, გაქცევა.

სერგო. ცხიდან გამოსვლა და დახვრეტით დაიწყებო, წყველ
ამიხლა.
მაზნიაშვილი (დილოვს ყური მოჰკრა). ნუ ლელავთ, ყმა-
ვილო, რევოლუცია და დახვრეტა რამ გაყო.

სერგო. ჩემს მუქარას რევკომის გადაწყვეტილებაც კი არ სჭრ-
დება, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენ კანონგარეშე გა-
მოგაცხადათ, როგორც რევოლუციის მტერი.

მაზნიაშვილი. მე ერთი შეწირული ვაცი ვარ, განაგრძეთ
სერგო. მე დავამთავრე. ყველაფერი თქვენს სინდისზეა, თუ და-
თანხმდებით, სადარბაზოს კარებთან ეტლი გელოდებთ, შესანიშ-
ნავი ეტლია, თეთრი ცხენები უბია, იმით მობრძანდით. რევკომამდე
გზას ეს ბიჭი მიგასწავლით. (წასვლა დააპირა.) უარს თუ იტყვით,
მუქარას შევასრულებთ, რადგან სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ, კომუნის-
ტებს, არც ერთი გენერალი არა გვყავს, თანაც ისეთი სარდალი გვინდა
რომელიც ჯარის დაფანტულ ნაწილებს შემოიკრებს, ჯარისკაცები და
ოფიცრობა ენდობა და ბრძოლას მოიგებს.

მაზნიაშვილი. მაინც ვისთვის მოვიგო ბრძოლა?

სერგო (გამომწვევად). ბებიაჩემისთვის.

მაზნიაშვილი. რა ჰქვია თქვენს კეთილ ბებინს?

სერგო. საქართველო!!!

მაზნიაშვილი (ნათქვამი შთაბეჭდილება მოახდინა). ყმაწვილი
რა ვაქვით, რა ნათელი თვლები გაქვთ, აფსუს... (მცირე პაუზა) ერთ-
სიტყვით, პარტიებისათვის ომი არა ღირს.

სერგო. თქვენ მიწისათვის იომებთ!

მაზნიაშვილი (სერგოს კვლავ მიუახლოვდა). ჩანს, ის კომუნ-
ნისტი ხართ, რომელსაც რეალური სამშობლო სწავს. თქვენი
წუთი“ ძალაში დატოვებთ, მე მარტო არა ვარ.

96

სერგო. ნახვამდის. (რიფათას). ფეხი არ მოიცვალო, მეგზურად
გამოადგებო. (წასვლა დააპირა.)

დინა (გამოჩნდა. მაზნიაშვილს). გენერალო!

სერგო. დინა ვაჩნაძე?! საიდან?..

დინა. სერგეი ივანიჩი?! გენერალი დალილია, მე მესაუბრეთ.

სერგო. ომში ქალები — მხოლოდ მოწყალების დად, სხვა თანამ-
დებობა ჯერჯერობით არა მაქვს.

დინა. უფრო ზრდილობიანად მელაპარაკეთ!

სერგო. პეტერბურგის სმოლნის ქალთა ინსტიტუტის წარჩინებუ-
ლი მოწაფე, ცარსკოე სელოს ყოფილი კომენდანტის გენერალ ვაჩნა-
ძის ქალიშვილი, რომელიც იმპერიის დედოფლის ფრეილინად უნდა
წარგზავნილიყო, კომუნისტებისათვის სასიკეთოს აბა, რას იტყვის?!
დინა. ისე ამბობთ, ვითომ პეტერბურგის უნივერსიტეტის იური-
დიული ფაკულტეტი რევკომის თავმჯდომარეებს ზრდიდეს. ვინ რა
დამათავრა — ზა მნიშვნელობა აქვს?

სერგო. ჩემს სასიკეთოდ რას იტყვი?

დინა. გავცალეთ აქაურობას!

სერგო. თავადის ასულო და, ზედაც გენერლის ქალიშვილო,
სცდებით, თქვითმბერი თუ მხოლოდ მოშობული ხალხის რევოლუცია
გგონიათ, ეროვნული თავისუფლებაა მისი მთავარი პეწი.

დინა. საუკუნის ნატვრა ასრულდა. საქართველოს ცა გაეხსნა.

ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდვინოდეს — მზეზე წერია, ნუ ელობები, თო-
რემ შენს რევკომს და სამას კომუნისტს ოცდაათა გვარდიელი მო-
უვლის.

სერგო. ბათუმში რამ ჩამოგიყვანათ?

დინა. თქვენს არმიასთან გენერალურ ბრძოლას ვიხილავ.

სერგო. გენერალო, ის ხუთი წუთი ამ საუბრიდან გამოირიცხეთ...
თავადის ასულო, რას აპირებთ, როცა თქვენი იდეები მირაჟივით გაქ-
რება?..

დინა. იმას, რასაც დამარცხებული.

სერგო. იცოდეთ, ხვალ დილიდან, ბათუმის ნავსადგური ჩემს
ხელში თუ იქნა, არ გაგიშვებ, არც თქვენ და არც თქვენს არისტოკრა-
ტულ ნათესაობას. ოსმალეთის ვახსნილი საზღვრებიდანაც რომ იფიქ-
როთ, იქაც წამოგეწევი. ეს ჩვენს შორის იყოს.

დინა. ყმაწვილო.

სერგო (სიტყვას ჩამოართმევს). პარღონ, მე ყმაწვილო არა ვარ,
თქვენზე შვიდი წლით უფროსი ვარ.

დინა. სამშობლოს პარტიაზე ცვლი!

სერგო. ქალიშვილო, თქვენ თუ ნამდვილი პატრიოტი ხართ,
7. ვ. კანდელაკი

შვილები გააჩინეთ — საქართველოს ვაჟაკები აკლია. განა, ფაქტის წინაშე არა ხართ, მტერს ვემუდარებით, რომ გვისარდლოს!

დინა. ქალის მოვალეობას მე შევასრულებ.

სერგო. უჩემოდ ვერაფერსაც ვერ შეასრულებ. (მიდის. კარი გაიხურა.)

დინა (კენესა აღმოხდა, მაგიდას იდაყვით დაეყრდნო). ო, როგორ მიყ... ეს არამზადა!..

სერგო (კარი შემოაღო). მეც აგრეთვე... გენერალო, ხუთი წუთი არ დაგავიწყდეთ, საათი ჩაერთე. (წაიდა. უხერხული პაუზა.)

რიფათა. ნარგიზა გამახსენდა.

დინა (უბრალო). ვინ არის ნარგიზა?

რიფათა. ჩემი დანიშნული.

დინა (გამოერკვა, რიფათა შეათვალიერა). ნამდვილი ხუნხუზი, ასკერის ტანსაცმელი და თავზე რუსული ქული. ვინ დაგბატოდა? თქვენ რევკომს მიჰყევით, ჩქარა!..

რიფათა. გენერალს ველოდები, ხუთ წუთში დახვრეტენ.

ქარუმიძე. მერე ჯა არ დახვრეტენ?

რიფათა. როდის მერე?

ქარუმიძე. როცა ბრძოლას მოიგებს.

რიფათა. გამარჯვებულს ვინ დახვრეტს?

ქარუმიძე. კომუნისტებმა ასე იციან.

რიფათა. ასე გადარეულებმა იციან, ჯო!..

ქარუმიძე (ყველას). ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მერე, უცებ — სისხლი ამ ხელისუფლებისათვის?! ბატონებო, ჩვენ ნამდვილი კომედიანტები ვართ!

მაზნიაშვილი. საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკა, სამშობლოს მიწა — მთავარი ხატი! მე ხატისთვის ვიბრძოლებ.

რიფათა (გახარებული, თავისთვის წამოიყვირებს). ეჰე, ხატიონი!..

დინა. გაჩუმდით! (რიფათას ხმა ჩააწყვეტინა, ანდრონიკაშვილმა სათქმელი გადაიფიქრა)

ქარუმიძე. გენერალო, მომატევეთ გულახდილობა. თქვენნი უეცარი გარდაქმნა რომელიდაც ოპერეტის გმირს მავონებს.

მაზნიაშვილი. გეთაყვა, რატომ რომელიდაც, ყველა ოპერეტა ბოლომხიარულია.

ქარუმიძე. სიტუაციას ალღო აუღლეთ?

მაზნიაშვილი. არა, რევკომი მართალია. (სხვა ტონით.) არ არსებობს ჩემთვის პარტია, მე სამშობლო მიწის ჯარისკაცი ვარ, ბალახის სიმალისა!.. ნახვამდის...

ქარუმიძე (წინ დაუდგება). გენერალო, მაინც დახვრეტენ.

მაზნიაშვილი. ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს,

მეორე დამშვიდებული თაობა მკვლრებით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება, არც სიკვდილით მთავრდება.

დინა. გენერალო, მოგვკვდეთ, ვიდრე ცოცხლები ვართ?!

მაზნიაშვილი. ქალიშვილო, თავს ძალას ნუ დაატანთ, დე, გული იყოს თქვენი წინამძღვარი. მეოცე საუკუნე კომუნისტების საუკუნეა და ასე იქნება, ვიდრე თავიანთ დანაპირებს თვითონვე არ უღალატებენ. კაცობრიობის მართვის ორი ათასწლიანი გეგმა ამოიწურა, ახალი დაიწყო, საქვსთან კომუნისტები დგანან. სამწუხაროდ, ასეა. (რიფათას) წავიდე. (გაღის.)

რიფათა (ყველას). რევკომი აგერაა, ასი ფეხის ნაბიჯზე... დინა. დაიკარგე! (რიფათა გაღის.)

ანდრონიკაშვილი. გრამოფონი მომართეთ, „ჯამბაზები-დან“ კარუზო მომასმენინეთ. (მთრე პაუზა. ქაფენილზე ეტლმა გაიხაურა.)

დინა. წავიდა...

ქარუმიძე. ჩემს გენერალს ვერ მივტოვებ... (სხვებს.) თქვენ? დინა. მაიორო, ის თუ ოპერეტის გმირია, თქვენ რა — ცირკის მაიმუნა?

ქარუმიძე. განწირული თაობა ანგელოზის ენით მაინც შეამკეთ. ჩვენ იმ არამზადებზე წმინდანები ვართ, რომლებიც შხამიან ლორწოს სულში ხარშავენ. ინტელექტუალურ ვიგინდარებზე მაღლა ვდგავართ, რადგან ვმოქმედებთ! დიახ, სამშობლო მიწა ჩემი მთავარი ხატი. (გაღის.) მთრე პაუზა.

სუმბათაშვილი. გუბერნატორის სასახლეში? ეკა. დიახ, გუბერნატორის...

სუმბათაშვილმა ქული დაიხურა.

ანდრონიკაშვილი (ყვეას მოსვამს). გამოვფხიზლდები და წამოგეწევით.

სუმბათაშვილი. თავადის ასულს, „დაბადებაში“ წერია: „შექმნა ლმერთმან კაცი, ხატად თვისად...“ ერთი სიტყვით, მაიმუნი არა ვარ.

დინა. მაიმუნიც ლმერთმა შექმნა, სუმბათაშვილი. წინა დღით.

დინა. რა განსხვავებაა? სუმბათაშვილი. ო, ეს უკვე მარქსიზმია. მომყევით! (უკან მოიხდღა.) წასულა. (გაღის.)

ანდრონიკაშვილი (ფინჯანი ყავა გამოსცალა, ადგა, სარკეში სხელი გაისწორა, ღღინებს). „ხატიონები, ხატიონები...“ არავითარი ხატიონები, სამშობლო მიწის ჯარისკაცი ვარ, მამასადამე, პეტერბურგიდან მეგობრობთ?..

დინა. ვიცნობ.
ანდრონიკაშვილი. სადაურია?
დინა. ჩხარის თემიდან, ზოგრეთი თუ გაგიგონიათ...
ანდრონიკაშვილი. მამასადამე, მფეგობრობთ... (კვლავ აღი-
ღინდება.) არ მოიწყინოთ, არც კარი არავის გაულოთ.

დინა. ცხვრის ფარა!
ანდრონიკაშვილი. იქნებ, გენერლების ჯოგი ისე, როგორც
არის. აბა, კარგად დამაკვირდით, ლომი ვარ! ფერითაც, გამონედვითაც—
ნამდვილი ლომი! ეჭვე, თქვენ ღიმილი შეგეპარათ. ლომების ქვეყა-
ნაში ვცხოვრობთ, თავადის ასულს, კარი გამოიკეტეთ, ლომი ტურას
გეგობრობს, ეს ცნობილია. (გაღის.)
დინა. აი, რეალური სამშობლო...
თამარი. ლომები, ტურები, მაიმუნები...
ეკა (შემბარა). კარი ჩაქეტეთ!

თამარი ღია როიალთან ზის, კლავიშებს მძლავრად ჩამოჰკრავს.
სინათლე ქრება.

სურათი მემკვიდრე

გენერალ-გუბერნატორის ნათელ დარბაზში ავეჯი თითქმის უცვლელად დგას,
ყელთან ჩამოსხნილი სურათი იქვე, იატაკზე დევს შებრუნებული. ლურსმანზე მუ-
ყოს ქაღალდი კილია, ზედ გაუწაფავი ხელით „რეკვიმი“ აწერია.
გენერლებისა და ოფიცრების პირისპირა შამანაგად აღიღებულ წარ-
უღაშინი გოგელია დგას.

გოგელია (უხერხულ სიჩუმეს დაარღვევს). ბატონებო!

გენერლებსა და ოფიცრებს სიცილი წასვლათ.

სუმბათაშვილი. ნაძლევი მოვიგე!.. (გოგელის.) ყმაწვილო,
გენერალი ანდრონიკაშვილი მეუბნებოდა, პირველი, რასაც რევიკომში
გავიგონებთ, „ამხანაგოს“ გვეტყვიანო. მე „ბატონოზე“ დავენაძლევე.
გოგელია. შე კაცო, ნახევარი საათი ვფიქრე და, ბოლოს ის
ვთქვი, რაც აქამდე გეუბრებოდათ.

სუმბათაშვილი. დიდებულია!

გოგელია. თუ არ გეწყინებათ, შიგადაშიგ „ამხანაგოსაც“ გეუ-
ბრებ.

ხმები. გაურიეთ! გაურიეთ! (იცინიან.)

რიფათა (გამოჩნდა). გენერალი მაზნიაშვილი! (სამხედროების ქვეშე-
შე არ ელოდა.) ჯო!

მაზნიაშვილი (გამოჩნდა). ბატონებო, ეს როგორა?
რიფათა. გენერალი, ჩვენ ოსმალის პატრულმა დაგვაკავა.
მაზნიაშვილი. ბევრი დრო წაურთმევიათ.

გოგელია. ქალაქის წართმევასაც გვიპირებენ, გენერალი.
მაზნიაშვილი. გოგელია შეათვლიერა, სტენოგრაფისტმა ადგილი დაიკავა.
მაზნიაშვილი. მაშ, დავიწყეთ!

გოგელია. გენერლების შეკრებულობას სალაპარაკოდ ვაცხა-
დებ, სატყუა მაზნიაშვილს ეძლევა.

მაზნიაშვილი. პოლიტიკური პარტიები ბევრია, სამშობლო —
ერთი. მეთანხმები?

გოგელია. ასეა და გეთანხმებით.

მაზნიაშვილი. ექვმი ვალდებულია დაპირის უშველოს, იმის
მიუხედავად, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის ის. ჩვენც, ჩვენი პრო-
ფესიით, ვალდებული ვართ ვუშველოთ სამშობლო მიწას, როცა მას
ოკუპანტი შემოსევია. ასეთი იყო ჩვენი მოწოდება წარსულში, ეს
არის ჩვენი წინამძღვარი ამჟამად. გჯერათ?

გოგელია. უშუველად.

მაზნიაშვილი. გამოვთქვამ იმედს, რომ ჩემი თანამებრძოლე-
ბი ჩემს აზრს იზიარებენ.

თანამებრძოლები. დიას...

მაზნიაშვილი (მცირე პაუზის შემდეგ სხვებისაგან განცალკევდა).
ქართული ჯარის გაფანტულობა ნაწილებმა ქალაქის ფორტებიდან ვიდრე
საჯავახო მდებ, რომლებსაც ჯერ იარაღი არ დაუყრიათ, გათენებამდე
უნდა შეიტყონ, რომ მე, გენერალი მაზნიაშვილი, ამიერიდან დანიშნუ-
ლი ვარ საქართველოს წითელი ჯარის სარდალად და ბათუმის ოლქის
გენერალ-გუბერნატორად.

ქარუმიძე. მომიტევეთ, გენერალ-გუბერნატორადო, გასაგებია,
მაგრამ თქვენ, გენერალი მაზნიაშვილი წითელი ჯარის სარდალად?

მაზნიაშვილი. სულ ოცდაოთხი საათით. მეთანხმები?

გოგელია. გეთანხმებით გენერალი.

მაზნიაშვილი (თანამებრძოლებს). თქვენ?

ქარუმიძე. ესე იგი, ბატონო გენერალი, ჩვენ ყველანი, ოც-
დაოთხი საათის განმავლობაში კომუნისტები ვართ?

მაზნიაშვილი. დიას, ოცდაოთხი საათის განმავლობაში...

უამისოდ დაქირავებული ლაშქრის სამარცხვინო ჯარისკაცები ვიქნე-
ბოდით. (ყველას.) მეთანხმებით, რომ ჩვენ ყველანი, ოცდაოთხი საათის
განმავლობაში კომუნისტები ვართ? (მცირე პაუზა.)

ქარუმიძე. ფთანხმებით...
ანდრონიკაშვილი. მე, კომუნისტი?!

მაზნიაშვილი. ოცდაოთხი საათით.
ანდრონიკაშვილი. დიახ, დიახ. მერე ჩემს სიგრძე სათელს
ღვანთებ.

მაზნიაშვილი (სხვა ტონით). ამაღამ, დილის ექვს საათამდე,
ქალაქის ყველა ქუჩაში გამოაკარით რევკომის ბრძანება ჩემი და-
ნიშვნის შესახებ. ოსმალეთის ლაშქარმა უნდა შეიტყოს, რომ ქართვე-
ლებს საკუთარი სარდალი და გენერალ-გუბერნატორი ჰყავთ.

გოგელია. შესრულებული იქნება, გენერალო!
მაზნიაშვილი. ჩემს მოადგილედ დაინიშნოს იმპერიალისტურ
ოქში გულადობითა და სიმამაცით გამორჩეული მხედარი გენერალი
სუმბათაშვილი, მეთანხმებათ?

გოგელია. თანახმა ვართ, გენერალო!
მაზნიაშვილი. ბარცხანისა და კახაბრის ფორტები გენერალ
წულუიძეს დაექვემდებარება. სტეფანოვკისა და ანარის ფორტები —
გენერალ ართემელაძეს. სამთო არტილერიის მეთაურად დაინიშნოს
მაკაე არტილერისტი მათიორი ქარუმიძე. შტაბის უფროსად — გენე-
რალი ანდრონიკაშვილი. ეს არის ჩემი გადაწყვეტილება. მოახსენეთ
რევკომს და პირადად თავმჯდომარეს.

გოგელია. ყოველი პუნქტი ასო-ასო შესრულებული იქნება, შე
კაცო, ახლავე, დაუყოვნებლივ.

მაზნიაშვილი. წინათგანჩნობა თუ არ მალატობს, თქვენ და-
ნიშნული ხართ ჩემთან პოლიტკომისრად, უამისობა კომუნისტებს
ხელს არ აძლევს.

გოგელია. მთლად კომისარი არა ვარ და არც ბევრი მაკლია.

მაზნიაშვილი. მოაშზადეთ ულტიმატუმი: ოკუპანტთა ჯარე-
ბის სარდალს, ბათუმის ოლქში, ბატონ ქიაზიმ ბეის, მგონი, თავისი
თავი ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოუცხადებია?

გოგელია. ვინ დაუშლიდა, გამოაცხადა.

მაზნიაშვილი (სტენოგრაფისტს). «ერთი საათის განმავლობაში
შეუდევით მთელი ოლქიდან ჯარების გაყვანას, პირველ რიგში და-
ცალეთ ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, რადიოსადგური, ბარცხანის
ფორტი და ყაზარმების რაიონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევედგე-
ბი სამხედრო მოქმედებას». რომელი სჯათია?

გოგელია. საათი არა მაქვს.

ქარუმიძე. დილის ოთხი საათია.

ანდრონიკაშვილი. დიახ, ხუთი დაიწყო.
მაზნიაშვილი. დილის რვა საათზე ულტიმატუმი პირადად

ქიაზიმ ბეის ჩაბარდეს, ცხრა საათზე რამს ვიწყებთ. (სხვა ტონით.)
ფორტებზე აგიტატორები დაგზავნეთ, მეზრძოლ უბნებს თქვენი კო-
მისრები მიაშავრეთ. ბრძოლაში ბოლშევიკ-მენშევიკობა არ დაიწყონ-
ოცდაოთხი საათის განმავლობაში მიზანი ერთია — ყველანი ოკუპან-
ტების წინააღმდეგ.

გოგელია. დიახ...
სერგო (გამოჩნდა). განაგრძეთ.

მაზნიაშვილი. მომიძებნეთ შტაბის ბინა, ადიუტანტები, მან-
ქანა, ცხენები, რემინგტონზე მბეჭდავი ქალი, ქალაქის რუკა, მაგი-
და და (გოგელიას) მაგიდაზე ბოთლი კონიაკი. გასაგებია?

გოგელია. ასო-ასო შესრულებდა. (სერიოზულობით.) რომელ
კონიაკს მიირთმევთ, გენერალო?

მაზნიაშვილი (იმპე ტონით). სულ ერთია, ოღონდ ნამდვილი
იყოს.

სერგო. გენერალო, თქვენი შტაბისათვის ყოფილი გარნიზონის
ბინა შევარჩიეთ, ნამდვილი ციხესიმაგრეა.

მაზნიაშვილი. სამხედრო საქმისა რაიმე გაგეგმათ?

სერგო. ისე, საერთო ხაზებში.
მაზნიაშვილი (გოგელიას მიართთ). იმას?

სერგო. გენერალს ჯარისკაცისაგან გამოარჩევს.
მაზნიაშვილი. საქმარისია. (თავისთანებს.) წავიდეთ!

ანდრონიკაშვილი. წავიდეთ, როგორც კომუნისტები?
მაზნიაშვილი. წარმოდგენა არა მაქვს, კომუნისტები რო-
გორ მიდიან.

ანდრონიკაშვილი (წამოიმღერა). «აღსდექ, ბეჩაეო შრო-
მის შვილო, ქვეყანავ, მშიერ მონების...» ზურგისაკენ... ნაბიჯით იარ...
ხა... ხა...

გამზარულზელი გენერლები და ოფიცრები თავისუფალი ნაბი-
ჯით გადიან.

სერგო. გულის მოოხება, ალბათ, დანწმენდის ნიშანია?

მაზნიაშვილი. ჩემი მავთულები სულ დაიყვანა...

სერგო. რა მავთულები?..

მაზნიაშვილი. თემის ნაპირებზე სასირეთი გაგიგონიათ?

სერგო. სასირეთი, გორის მაზრაში?

მაზნიაშვილი. ჩემი სოფელია. სამი წლის წინათ ორი ფუთი
მავთული ვიყიდე, ახალ ვენახს ჩავყრი-მეთქი, ომს ბოლო არ უჩანს.

სერგო. პოდა, დაამთავრეთ!

მაზნიაშვილი. თქვენ ფიქრობთ, მე მშვიდობას მოვიმიკი?

სერგო. გენერალო, რამ დაგაქვიათ?

მაზნიაშვილი. მე ომს მოვიგებ, მშვიდობა თქვენ უნდა დაძა-
როვო, კომუნისტებმა. (გაღს.)
გოგელია. მიწას გავხეებო და კონიაკს აღმოვაჩენ! (გაღს.)
სერგო (თავისთვის). ჩვენ ნამდვილი სარდალი გვყავს, ბრძოლას

მოვივებთ!
რიფათა. ამხანაგო სერგო, საღ დასაფლავებთ გმირებს, რომ-
ლებიც ბრძოლაში დაეცემიან...
სერგო. ეს რა შეკითხვაა?
რიფათა. ერთხელ გოგელიამ თქვა — სასაფლაო ვერ აგებ-
ნიაო...

სერგო. გოგელიას გადაეცო, კაცურად თუ მოკვდება, აზიზებს
მოედანზე დაესაფლავებ, ქალაქის შუაგულში.
რიფათა. აზიზებს მოედანზე — გოგელია?!
სერგო. ნამდვილად.
რიფათა. აბა, თავს მოიკლავს! (გაღს.)

სერგო (თავისთვის მოფუსფუსე სტენოგრაფისტი შენიშნა). რევერენს
წევრებს აცნობეთ, თათბირი აღარ შედგება, ფორტებზე განაწილე-
ბიან. ბათუმში წყდება საქართველოს ბედი, ასე იცოდეს ყველამ,
ვისაც მიწის სიყვარული არ განელებია და ომებისა და რევოლუციების
ქარცეცხლმა აღამიანის გული შეინარჩუნა, გესმის?!..
სტენოგრაფისტი. მშე-ეე-სმის...

ღამურთხალი სტენოგრაფისტი წაიფიდა. სერგო ტელეფონის აპარატს
მოუბლოდა, გადაფიქრა. ამასობაში იარაღისხმულ გვარდიელი გამოჩნდა

გვარდიელი. გამარჯობა, სერგო!
სერგო. ვერ გიცანით...
გვარდიელი. აბა, აბა, ეგეები არ იყოს. ქუთაისის ციხიდან მე
გადმოგზილეთ, ჩემი ტყვე იყავით.
სერგო. დაბრძანდით.

გვარდიელი (სავარჯისი სხელურზე ჩამოვდა). „სახალხო გვარდია“
სოციალ-დემოკრატიის სამხედრო ძალა, ქართული არმიის ყველა მ-
წერლისა და ოფიცრის საველე-სასამართლო წესით გასამართლებას
მოითხოვს, გენერალიტეტმა ფიცი შერყვნა და რწმენას უღალატა
ჩაგვებარეთ ისინი.

სერგო. ისინი საქართველს მიწას იცავენ.
გვარდიელი. ვისგან იცავენ?
სერგო. ოკუპანტებისაგან.
გვარდიელი. ხა, ხა! ქართული არმიის სარდლობა ოკუპან-

ტებისაგან იცავს ოკუპანტებს! ოსმალთ, ასკერები და კომუნისტები —
რა განსხვავებაა?! მთავი დედა კი ავადიერე, ჩამოგახრჩობთ!
სერგო (გვარდიელთან მიიჭრა. უნებლოთ მუცელზე თითს მიაღებს).
დაგზვრეტ!

გვარდიელი (ხმას დაუწევს). მანამდე ფანჯარაში გადაიხედე.
სერგო. რამდენი ხართ?
გვარდიელი. ზღვაში ჩაგყრით, ძალღებავით ჩაგახრჩობთ.
სერგო. ძალღებავით ის არ დაგინჩვიათ, ვინც ამის ღირსი იყო —
საკუთარი მთავრობა, მათ გილატეს, რაღას ერჩით არმიას, სინდი-
სისგან თუ წინასწარ გაათავისუფლეთ. ახლა ისინი პირველად ქართუ-
ლი არმიის მოხალისეები არიან, დემობილიზაციის წინა დღით, სა-
კუთარი მთავრობისა და მთავარსარდლის გაქცევის შემდეგ, წმიდათა-
წმიდა მოვალეობას ასრულებენ, ქართული მიწის ყვილი იხმობთ.

გვარდიელი (თოქოს დამოშინებულ). არის ერთი გამოსავალი
და საქმოდ მშვიდობიანი.

სერგო. რა?
გვარდიელი. „სახალხო გვარდიის“ თავზეხელაღებულ ნაწილს
დავშლი!
სერგო. ამას რა ჯობს, დაშაღეთ.
გვარდიელი. ამას ფული უნდა.
სერგო. რა ფული?
გვარდიელი. ნაღდი. ოქრო-ვერცხლი, ყველანაირი, გარდა
ქალაქისა.

სერგო. კაპიტი რა არის, ისიც არა გვაქვს.
გვარდიელი. ასე თუ ივაჭრეთ, ამაღამ აქ ბევრი ხელისუფლე-
ბა გამოიცვლება. (სხვა ტონით) ტიბეტის დალი-ლაშა გვაკლია, დანარ-
ჩენები სხვზე ვართ: მოელი მსოფლიოს პოლიტიკური ნაგავი მოაწყ-
და საზღვაო ქალაქს, დიახ, შეიარაღებული ნაგავი ბეწვის ხიდზე
ხართ.

სერგო. დილის ცხრა საათზე ფულს მიიღებთ.
გვარდიელი. ცხრა საათზე ომს იწყებთ.
სერგო. ორ საათში.
გვარდიელი. ამ ქალაქის ვითარებაში ორი საათი საუკუნეა!
სერგო. ერთ საათში.

გვარდიელი. უსისხლოდ...
სერგო. რა თქმა უნდა.
გვარდიელი. „უსისხლოდ“ ნიშნავს, რომ ხუთასი გვარდიე-

ლის სადემოკრატიო ფული ამ მაგიდაზე დამხვდება. (წასვლა
ლაპარაკი)

სერგო. სიტყვა სიტყვა.
გვარდიელი. მაგრამ იცოდეთ, ხაზინა ჩვენამდე გაწმინდეს.
ტამოქნა ვილაც ხაშიმ-ბეკის ბანდას გაუძარცვავს, მოკლულ, დრო ხე-
ტიალში არ შემოგელით. (გაღის.)

სერგო. ქალაქის მდიდრები, მეფაბრიკეები: შელენგოვი, კაპლა-
ნი, პიტოვი, ოპ, მაგალი, არც ერთი ქართველი მეფაბრიკე; არც ერთი
მდიდარი, გარდა იმ ერთი ნაკაშიძისა, რომელსაც დარბაზში როიალი
უღვას... ფული მჭირდება! როიალი და ლამაზი ქალები რას მარგებენ?

გოგელია და რიფათა შემოდიან:

გოგელია. ბოთლი კონიაკი ნახევარზე დააყენა.
სერგო. უშოვეთ?

გოგელია. ნაკაშიძის სახლს მივაკითხე.
სერგო. შენ ნაკაშიძის ქალებს მოეშვი, თორემ!..

გოგელია. შე კაცო, რევოლუციას სჭირდება, აბა, ნამდვილ კო-
ნიაკს სხვანაირად ვიშოვიდი?

სერგო. ფული სად ვიშოვოთ?

გოგელია. რა ფული?

სერგო. ოქრო, ვერცხლი. „სახალხო გვარდია“ უქრთამოდ არ
დაიშლება, ხიფათს შეგვეყრიან. ხუთასი გვარდიელის ხელფასი ახლავე,
ერთ საათში!

გოგელია. ხუთასი გვარდიელის? შე კაცო, ზღაპარია!

სერგო. მერე, ჩვენც ზღაპრის გმირები ვართ. იმას იზამენ, რაც
შოეპრიანებათ. მომყევი.

გოგელია. სად მივდივართ?

სერგო. მდიდრებთან.

გოგელია. შე კაცო, ახლა ყოველი ოქრო ჩამარხულია და პატ-
რონი გაქცეული.

სერგო. ცლა ბედის მონახევრეა.

გოგელია. შე კაცო, ფული მე მკითხე. აქედან ვატაცებელი
ქონება რუსეთში ჩამქონდა. ჩემი ხელობაც ეს იყო. მთელ ქალაქში
გახვეტილი შაურიანი არ მოიძევა.

სერგო. ფული ან გვარდიელებთან ომი!

გოგელია. მოიცა, შე კაცო, გვარდიელებთან ომი ფაფის კამა-
ნუ გონია. მოვიფიქროთ, შე კაცო...

ისმის ხმაური, ქალის წამომღერება, კალანდაძის შეძახილი — „არ იმღერო!
ქალი გამოჩნდა, მხრებზე თმაჩამოშლილი, მუხლს ზემოთ კაბაში, მოკლე ქურჩი
და ტრელი წინდა იცვია.

ქალი. სალუტო! უფროსებს გაუმარჯოს!
გოგელია (გამოერკვა). ვინ მოიყვანე, შე კაცო?
კალანდაძე. რემინგტონზე მბეჭდავი ქალია. ძლივს მოვათ-
რე.

გოგელია. მოქალაქე, რა გქვიათ?

ქალი. ეპოქა!..

კალანდაძე (ქალს). ცოტა ჭკვიანად, გესმის?

ქალი. უფროსო, ეს ხეპრე, ძუძუმწოვარა, რეგკომში მომათრეგს,
ქალი სად წაიყვანოს არ იცის. დედამისი ვგონივარ ამ არამზადას.

გოგელია. შე კაცო, ვინ არის ეს ქალი?

კალანდაძე. მბეჭდავი.

ქალი. ტურტუცი.

კალანდაძე. აბა, ვინ ხარ?

ქალი. წმინდა მარიაში აა, ხედავთ, არა სჯერა. მაგდალინელი! არა-
ფერბ არა სჯერა. თომა, შე ძველო! (მხარზე ხელი ჩამოკრა.)

კალანდაძე. ხომ გესმით?

ქალი (ფაბილარულად). უფროსო, ვეუბნები ბოზი ვარ, არა სჯერა.
სერგო (როზელც აქამდე გულგრილად უყურებდა). რატომ არ გჯერა,
კალანდაძე?

კალანდაძე. როდის იყო ადამიანი თავის პირით იმას ამბობდა,
რასაც შეჩვენებულო.

სერგო. გულახდილი ქალია!

კალანდაძე. კონტრაა, მესაბოტაჟე!

ქალი. ბოზი ვარ, ციყვო.

კალანდაძე. ა, კიდევ იმას იმხანის, არ უნდა დაჩვიტო?

სერგო. რას ერჩი ადამიანო?!

კალანდაძე. მბეჭდავია.

გოგელია. უარს ამბობს, შე კაცო.

კალანდაძე. თითებზე მელანი აცხია.

ქალი (კალანდაძეს). ხეპრე, მელნით წერენ! ყველა პროსტიტუტკა
წერს. ვაზეთს არ კითხულობ? სულ პროსტიტუტკები წერენ!

კალანდაძე. ა, გესმით?!

სერგო. სწორს გეუბნება. გვლანძღავენ, ჩინგის ყანის შთამო-
მავალს გვეძახიან. გემიდან ხართ?

ქალი. ოპ, რა გემია!.. „ძირს სირცხვილი“ ჩვენმა გოგობმა ზედ
დავაწერეთ — „გაუმარჯოს რევოლუციას!“ ესეც ჩვენ დავაწერეთ.

ძმავ, ჯარის ნაწილებში გამგზავნეთ. ბიჭები ბოლომდე იომებენ, ლაზანკში, ცის ქვეშ ბიჭებს ვუმღერებ... (ზოზო, სიმონის წამოიყვანა)
გოგელია (შეაწყვდინებს). ჯარი არა გვყავს, არც ჯარისკაცი.
ქალი. დედლებო, თქვენი... ეს ჭრელი ხბო თუ სადმე შეგხვდა,
ყოფას ვუტირებ. ძირს სირცხვილი, ძმავ... (გამომწვევად ილაყნება)

ქალანდაძე. კონტრაა...
ქალი. დედლებო, თქვენი... (მიიმღერის, გაღის)
სერგო (ქალანდაძეს). ნავსადგურის მილიციას დაუბრუნე, პროსტიტუტების გემი რეიდზე დააყენოს... შეიარაღებულმა გვარდიელმა თუ მიკითხოს, ფულის საშოვნელად წავიდა-თქო, გესმით? ტელეფონს არ მოსცილდეთ.

გოგელია. აბა, თქვენ იცით. (სერგო და გოგელია გაღის)
ქალანდაძე (ტელეფონის სახელურს ატრიალებს). მომეცით პორტი, პორტის მილიცია!.. რეკომი ვარ. მილიციის უფროსს სთხოვეთ, ხაშიმ-ბეკის ბანდის შესაპყრობად?.. ჩაიწერე რეკომის ბრძანება: გემი რეიდზე დააყენო, პროსტიტუტები ნაპირზე არ გადმოუშვათ. პროსტიტუტა?.. მოიცა... რიფათა, ბიჭო, პროსტიტუტა რა სიტყვაა? რიფათა (საიდუმლო ხმით). ბოზია, ჯო, ბოზი.

ქალანდაძე. ეპ, ნამეტანი ბილწი სიტყვაა.
რიფათა. «ვეფხისტაოსანში» წერია: «როსკიპო, ბოზო, დიკო, საქმრო რად მოაკვლევინე...»

ქალანდაძე (ყურბილში). გესმის? როსკიპი ჩაწერე, როსკიპი! (ყურბილი დაღო.) დედა, ბიჭო, ბათუმი გაპირდა, მსოფლიო რევოლუცია რა იქნება, ზვდები რიფათა?

რიფათა. რავა არ ვხვდები, ჯო, ამ მაუხერმა წელში გამშალა.
ქალანდაძე. ე ბიჭო, კაცი ხარ ქვეყანაზე, ძმურად დამითბე.
რიფათა. ძალიან გინდა, ჯო?

ქალანდაძე. სული მელევა.
რიფათა. ჩემი ხელით დაგვიღო?

ქალანდაძე. მაგისტვის შეგაწუხებ...
რიფათა. ა, გქონდეს.

ქალანდაძე. შენი ჰირიმიე, რიფათა. შენს ქორწილში მერბიფედ მიგულე. ამ ერთი ციკქნა ფიშტოთი, ბიჭო, ქალი ვერ შეაშინებ.
რიფათა (იარაღები გაცვალავს). ნენე, რა ლამაზია?!

ქალანდაძე. ლამაზია, მარა არ ვარდება.
რიფათა. მაგი არაფერია.
რამდენიმე ყრუ გასროლა, მერე ტყვიამფრქვევის კაცანი.

ქალანდაძე. რიფათა, ბიჭო...
რიფათა. დაწექი!

ქალანდაძე. ახლა, ნარგიზა რომ შემოგესწროს ასე მაგიდას აფარებულს, კლარც კი წამოგყვება!
რიფათა. შენ ხუმრობ და, მართალი ხარ, ჯო... (აღგა.)
ქალანდაძე. დაწექი.

რიფათა. არა!..
ქალანდაძე. ნარგიზას არც აბღალი უყვარს.
რიფათა. მართალია, ჯო... (მაგიდის ფეხთან ჩაჯდა, კვლავ სროლა, ტელეფონის ხარი ახმინდა)

ქალანდაძე. ტელეფონს გაეთამაშე.
რიფათა. რა დროს რიკრიკია, ქვეყანა იქცევა.
ქალანდაძე. მიღი.

რიფათა. შენ მიღი.
ქალანდაძე. წელზე მაუხერს ვიმაგრებ.
რიფათა (ყურბილი საფარში ჩამოთრია, სროლა შეწყდა). რომელი ხარ? მილიციის უფროსი? კაი გამარჯობა. ხაშიმ-ბეკის ბანდიტები? ნაძარცვს რა უქნა და სახლში ხომ არ წაიღებ, ჯო! თავმჯდომარე? ახლავე. (ქალანდაძეს) რა ვქნათ?

ქალანდაძე. უთხარი, თავმჯდომარე მალე მოვა-თქო.
რიფათა. ჯო, ქონება რომ სადმე წაიღოს ან დაკარგოს, მერე რას ფიქრობ?

ქალანდაძე. რა ვქნათ?..
რიფათა. მაცალე. (გაიფხორა. ხმა დაიბოხა.) გისმენთ, რეკომის თავმჯდომარე. ღიას!.. როგორ გეკადრებათ, ხაშიმ-ბეკ!.. თქვენი სახელი? ამხანაგო კალისტრატე, (ხმა გაუწვილდა.) ბანდიტები ციხეში! ქონება აქ მოიტანე, რეკომში, ჩქარა, რეკომში!.. (ყურბილი დაღო.) ჯო!..

ქალანდაძე. რამდენიაო?
რიფათა. ბევრი.

ქალანდაძე. აუუ!.. ხელფასი გაგვიჩნდა.
რიფათა. შენ აბღალი ხომ არა ხარ... (ტელეფონის ხარის ხმა.) გისმენთ. არ ვიცი, ჯო. «ნეტუ»... მოდი, ჯო, რუსულად კითხულობს.

ქალანდაძე. პრედსედატელ? ნეტუ, გღე პაშოლ, ტანია. (ყურბილი დაღო.)

რიფათა. ნენე, რამხელა რუსული გცოდნია, ჯო! მოსკოვში ბანდებიც რუსულად ლაპარაკობენო, მართალია, ჯო?

ქალანდაძე. მოსკოვში არ ვიცი და... (ტელეფონის ხარის ხმა, ყურბილი დაღო.) რეკომი... რაო? ტურქჩა იოქ... (რიფათას.) თურქული გესმის?
რიფათა. შენ რომ რუსული გესმის, იმდენი...

კალანდაძე (ურბილში). ნინოშკა ბუღეტი.
რიფათა (ურბილში). ქიმ ისთერსინ? ბაშაქანი იოქ. ვვე გით!
(ურბილი დაღო)
კალანდაძე. რა უთხარი?
რიფათა. უფროსი არაა, სახლში წაი-თქვა, ვუთხარი.
კალანდაძე. გეძინება?
რიფათა. რაის ძილი, ჯო! (სიმღერა მორთო.)

ტყეში. ხარი შემეარღო,
— გამო, გამო, გიშერაო!
ნახლის ძველა იქ დაავლო,
გამოვარდა შიშველოოო.

მთელი ღარბაზი ცეკვა-სიმღერით მოიარა. ახარტში შესულს, კალანდაძე გამო-
ნთო, რიფათა ყოფილი გუბერნატორის მაგიდაზე ჩამოთრია.

კალანდაძე. ჩუ, გაჩერდი, შეჩერდი!..

გამოჩნდა კბილებამდე შეიარაღებული ორი მილიციელი, ჩახეული და
წვერგაუპარსავები. ერთს მომცრო ტყავის ჩემოდანი ილაშქო გამოუჩრია, მეო-
რეს ფეხნაღობს, ფანერის ყუთი ხელში ჩაუბლუჯავს. მილიციის უფრო-
სი დაწინაურდა, დამხედურებს გამოეჯვია.

მილიციის უფროსი. ამხანაგო რეკომო, პორტის მილიციამ,
რახში — თორმეტი კაცს შემადგენლობით, ბრიგადირი კუცია, ზემ-
დეგი ლუტიძე და მეტყვიამფრქვევე ხარნაული, რომლებიც ქვემოთ
იტლიან, ხაშიმ-ბეკის ბანდიტები შეიპყრეს. ერთი დაჭრილია, ორი
გოქცა; ნადავლი — თურქული ღირა და ოქრო, რეკომში მოგზიდეთ.
ოპერაცია ჩატარდა ტამოქნის რაიონში, ნავსადგურის უბანზე. პორ-
ტის მილიციის უფროსი კალისტრატე ფრჩხილაძე.

მილიციელებმა ჩემოდნები მაგიდაზე დადეს.

რიფათა. მართლა ფულია?
მილიციის უფროსი. მერე რა ფული!
რიფათა. აგერ დააწყვეთ.

მილიციელებმა ჩემოდნები მაგიდაზე დადეს.

მილიციის უფროსი. რომელი ბრძანდებით რეკომში?
რიფათა. ვისაც ხედავთ, სულ რეკომელები ვართ.
მილიციის უფროსი. ესე იგი, ამხანაგი სერგო?
კალანდაძე (საკუთარი ღირსების ნიშნად მათუბრე მუხლზე დაიღო)
გახსენით.

მილიციის უფროსი (კალანდაძეს). თქვენ ბრძანდებით?
კალანდაძე. ა, ელაპარაკე ახლა ამას!

მილიციის უფროსი. სალაში.
კალანდაძე. ის ღრო მოკვდა, ერთი რომ იტყოდა და სხვებო
თავწალუნული შრომობდნენ. ახლა ყველა ვხელმძღვანელობთ.
მილიციელები. გაუმარჯოს. რევილუციას!
კალანდაძე. ასეა...
მილიციის უფროსი (მილიციელებს). გახსენით!
კალანდაძე (გახსნულ ჩემოდანს ჩახედა). რამდენი მთაკელით?
მილიციის უფროსი. რა ბრძანეთ?!
კალანდაძე. მართალი თქვით.
მილიციის უფროსი. ბატონო, ამ ჩემოდნებს რომ ხედავთ,
ეს არის ჩემი პირველი ნაბიჯი კომუნიზმისაკენ!
კალანდაძე. აბა, რატომ აკლია?
მილიციის უფროსი. ასე იყო, ბატონო.
კალანდაძე. სწორს ამბობს თქვენი უფროსი?
მილიციელები. რაც რომ შეიტყო, მთავრობა რევილუციას შეც-
ვალაო, სწორი ლაპარაკი აიტეხა.

კალანდაძე. ერთი ღირა რომ დააკლოთ, იცოდეთ რევილუ-
ციის ღალატს შეგვაშებთ, გესმით? ყველამ ერთად, კაპიკს კაპიკი მი-
ვაწებოთ, ღირას — ღირა და, მსოფლიოს მთელი მისი დოლარებით
ატმის კურკასავით მოვიმწყვდევთ მჯილში.

მილიციელები. გაუმარჯოს რევილუციას!

კალანდაძე. შენ რას გაჯიქდი?

მილიციის უფროსი. ბატონო, ხელწერილი მოგვეცი, ყვე-
ლაფერს თავისი ანგარიში აქვს, იქ ხალხი შევიპყარით, მტკიცების
საბუთი გვინდა.

კალანდაძე. ამდენ ფულს რა დათვლის... ვიომოთ, რევილუ-
ციას ვემსახუროთ, თუ ფული ვითვალთ?!
მილიციის უფროსი. აბა, რას გვიპირებთ, ბატონო?

რიფათა. წონით ჩაგვაბარე.

მილიციის უფროსი. კი ბატონო. სასწორი გაქვთ?

რიფათა. ჯო, რეკომში სასწორს რა უნდა.

მილიციის უფროსი. დაახლოებით, ბატონო.

კალანდაძე. ჩემოდნები დაკეტეთ. (მილიციელებმა დააღებმა
შეასრულეს) ასწიეთ, რამდენი იქნება?

მილიციელი. ჩემოდნიანად ექვსი-შვიდი გირვანქა.

კალანდაძე (ჩემოდნი მილიციელს). შენი?

მილიციელი. ესეც იქნება რვა-ცხრა გირვანქა.

მილიციის უფროსი. კეჟაზე ხომ ხართ? (ჩემოდნებს ხელი წა-
ღებდა)

აღლა) თითო ნახევარი ფუთი, სულ უკანასკნელი ერთი ფუთი იქნება ორივე.

კალანდაძე. მკლავში, ღონე გამოგლევია.

მილიციის უფროსი. ა, ბატონო, თვითონ შეაზოწმეთ.

კალანდაძე. ორივე ცხრა-ათი გირვანქა, პა და პა...

მილიციის უფროსი. როგორ გეკადრებათ, თუ ასეა, მილიციამ წაიღებ!

კალანდაძე. რომელ მილიციაში? თქვენი მთავრობა გოქცი.

მილიციის უფროსი. სიტყვამ მოიტანა, თორემ თქვენც შეიტყობდით, ოკუპანტებმა ერთ ოთახში შემკუშეს და ჩვენის საღარიბე წამაროვეს.

კალანდაძე. ძალიან გაწუხებენ?

მილიციის უფროსი. ფეხის გულებს იფხანენ და კენესიან. რა ფაღა. რა აყენესებთ?

მილიციის უფროსი. გაჩენის დღეს ტირიან.

კალანდაძე. ოკუპანტები?

მილიციის უფროსი. საწყალი ხალხია, ფორმას თუ გახლით და თოფს ჩამოართმევთ, ანგლოზებს დაემსგავსებნენ.

კალანდაძე. ზედაც ფრთებს თუ გამოაბამ...?

მილიციის უფროსი. გაფრინდებიან კიდევ.

კალანდაძე. ანხანავო გოგირტაძე, შეადგინეთ აქტი. დაწერე, ა, ქალაქი, ესეც მელანი... (დარბაზის) ზორტოს მილიციის უფროსისაგან ჩავიხარეთ ბანდიტების ნაძარცვი ქონება, ოჭროს და ვერცხლის ფულს, წონით ცამეტი გირვანქა. წერა ხომ იცო, ბიჭო?

რიფათა. გარეა ქაქუთში მღვდელი მასწავლოდა, გამოღმა ხოჯა.

კალანდაძე. მეტი არც გინდა (დარბაზის) ამ ცამეტ გირვანქაში შეღის ზემოდნების წონა...

მილიციის უფროსი. ბატონო...

კალანდაძე. თქვენს მებრძოლს, თქვენს მებრძოლს გირვანქა (დარბაზის) რომელია მებრძოლი, ოჭროს თუ ვერცხლი, არ ვიცი, რადგან დამაბნულად დრო არა გეაქვს. რეკომის თავმჯდომარე ხელმოწერილია რეკომის თანამდებზე რიფათა გოგირტაძე. (კვირდღიანი გამოიწია) წუ, ხელი არ შეეკოშალო.

გვარდიელი. თქვენთან რა მესაქმება?

კალანდაძე. მე (დარბაზის) თარიღი 18 მარტი გამოთვლიან, 21 წელი... მთარფი.

მილიციის უფროსი. მელნიჭარბს დაქვას, ბატონო, ამის რეკომის მტრები და მრევალი ბეჭედი მოუტლეს.

კალანდაძე. ზეგ, დილის ოთხი საათის შემდეგ, მოითმინეთ. აბერ, გენერალ-გუბერნატორის ბეჭედი.

მილიციის უფროსი. აპა, პა, პა... გაქცეული გუბერნატორის ბეჭედი მტრისას!

მილიციელები. გაუმარჯოს რევოლუციას!

მილიციის უფროსი. გაუმარჯოს! (ბოლშევიკული თეატრის მისდევს.)

კალანდაძე. გაუმარჯოს.

გვარდიელი. დრო ამოიწურა. სად არის თქვენი თავმჯდომარე?

რიფათა. არ ვიცი.

გვარდიელი. მისი მოადგილე?

რიფათა. მოადგილე არა ჰყავს.

გვარდიელი. შენ ვინ ხარ?

რიფათა. თანამდებზე ვარ.

გვარდიელი. ახლოს მოდი. რა, უღვაშიც არ ამოგსვლია?

რიფათა. ამოდის.

გვარდიელი. კომუნისტები დიდხანს იბოგინებენ...

რიფათა. ჩემ საულვაშზე რას ხედავ?

გვარდიელი. ის პარტია ძლიერი, რომელსაც ლაწირაკები ემხრობიან. (სხვა ტონით) მეგინებებიც მახლავს, მაზნიაშვილს იქ ავაფეთქებთ, თავის შტაბში, ზეპირად კი არა — განაჩენს წაუეუთხავთ, ამოგუეუთხავთ. (იპირებს.) ეჭვე, თქვენი მე!

კალანდაძე. გადაირიე?

გვარდიელი. ხუთასი კაცი მელიოდება, პირდაღებულები თოფებს და ბომბებს ხომ არ გახრავენ, თქვენი დედა კი ვატირი!.. (შეუხერხს გაშიშვლებს.)

რიფათა. არ ისროლო, ფული აგერაა, ჯო!

გვარდიელი. ფული?!

კალანდაძე. დაწერე ისე, როგორც თავმჯდომარეს შეპირები ხარ, რომ ახლავე დიშლებით.

გვარდიელი. ყველაფერი მზად მაქვს. (შავიღაზე ქალაქი დაღო.)

კალანდაძე. ახლა დაწერე ხელწერილი, რომ რეკომმა ორი ფუთი ოჭროსა და ვერცხლის ფული ჩავაბარა.

გვარდიელი. ორი ფუთი?!

კალანდაძე. დიახ, ორი ფუთი.

გვარდიელი. მაჩვენეთ.

კალანდაძე. ეს ჩემოდნები სულ ფულია. აწონეთ.

გვარდიელი. აწონო როგორ?..

კალანდაძე. ხელით, დაახლოებით.
გვარდიელი. ორი ფუთი... არაა!
ჩიფათა. აბა, რამდენია?
გვარდიელი. ერთი ფუთი, ისიც ჩემოდნებით.
ჩიფათა. ფუთ-ნახევრად მიიღე.
გვარდიელი (ჩემოდნები გახსნა, ლითონმა თვალი მოსწყვიტა). თანახმა ვარ. გნებავთ, სამი ფუთის ზელწერილს მოგცემთ, მე ხომ ვალად არ მიმაქვს?!
ჩიფათა. მისხალ-მისხალ ფუთ-ნახევარია.
გვარდიელი. აბა, შტამპიანი ზელწერილი. თქვენს თავმჯდომარეს მადლობა გადაეცით, სიტყვის კაცია ყოფილხარ-თქო, აქამდეც ამბობდნენ, ნახვამდის, ბიჭებო. (ჩემოდნებით გადის. მცირე პაუზა.)
კალანდაძე. ბანდიტების ნაოფლარი ბანდიტებმა წაიღეს.
ჩიფათა. ფუთ-ნახევარი რამდენი გირვანქაა, ჯო?
კალანდაძე. ფუთ-ნახევარი უდრის სამოც გირვანქას.
ჩიფათა. ჯო, მილიციისგან თექვსმეტ გირვანქად ჩავიბარეთ და გვარდიას სამოც გირვანქად. მივასაღეთ, ნენეე! ორმოცდაოთხი გირვანქა მოვიგეთ, ჯო!
კალანდაძე. სადაა მონაგები?
ჩიფათა. წაიღეს, ჯო... (მცირე პაუზა) ბათუმი ხომ გადავიარჩინე?
კალანდაძე. მე წყალს ვნაყავდი?
ჩიფათა. შენ მსოფლიო რევოლუციასზე ფიქრობდი.
კალანდაძე. ყოველ სიტყვაზე გეტკობა, გალმა ქაქუთონი მღვდელი გასწავლიდა, გამოღმა — ხოჯა. ჩემთვის არც ერთი იყო და არც მეორე, ქვეროსავით ვიზრდებოდი — ტყეში და პოლიციაში.
გამოჩნდება სერგო, მოდის ფრთხილი ნაბიჯით.
სერგო (საიდუმლო ზრით). გვარდიელები არ გამოჩენილან?
კალანდაძე. იყვნენ და მადლობა შემოგიტვალეს.
სერგო. რაო?
კალანდაძე. ფული წაიღეს.
სერგო. რა ფული? (კალანდაძემ ზელწერილი მიაჩეჩა, სერგო კითხულობს.) „სახალხო გვარდიის სადემობილიზაციოდ რევკომისაგან მივიღეთ ფუთ-ნახევარი ოქრო და ვერცხლის ფული“... რა არის ეს? ამდენი ქონება საიდან?
კალანდაძე. ვიწრომეთ.
სერგო. ზღაპარია... (ტელეფონის ზარმა გააფერიალა.)
ჩიფათა (ყურმილი). გისმენთ... აი... (თავისთვის) ზღაპარი ახლა იკითხე. (სერგოს ყურმილს გადააწოდებს.)

სერგო. ვინ ვარო?
ჩიფათა. ქა... ქალი.
სერგო. ვინ ქალი?
ჩიფათა. ხმაზე ჩემს ნარგიზას ჰგავს.
სერგო. რაო?
ჩიფათა. ელაპარაკეთ...
სერგო (ყურმილი). გისმენთ... (ყვირილით) გამოატარეთ! (ყურმილი ფრთხილად დაღო. მცირე პაუზა) ბიჭებო, თქვენ არაფერი არ იცით... (ბოლოს სცემს) კი ნამდვილად! ჩვენი მტერი ჩვენს მტერს ებრძვის. ამისთანა ჯერ არავის უნახავს, ზღაპარი ახლა იწყება! კალანდაძე, სტამბაში! იქიდან სადგურის ტელეგრაფში. რიფათა გოგირქე, ზარის ხმაზე შემოხვალ, გადით სქედან!
კალანდაძე და ჩიფათა ფეხკრფით გადიან. მეორე მხრიდან დინა გამოჩნდა. ტყვის კურტაკი აცვია. დარბაზი შეათვალიერა.
სერგო. დინა, არ გელოდი!
დინა. უჰ, რა ლირიკული. ხმა, ამოგდის.
სერგო (ჩვეულებრივ სიფიცხით). არავითარი ლირიკა, ქუჩაში გამოსვლა როგორ ვაბედე?
ზარტ ტყვიამფრქვევი აკაანდა, ერთჯერი სროლა შეერია.
დინა. რა ამბავია?
სერგო. მანიაშვილი მტრის პატრულს ქალაქგარეთ ერეკება.
დინა. ჩვენები არიან?
სერგო. დიახ, თქვენები არიან. (ტყვიამ ფანჯარის შინა ჩამტვრია) თავი დალუნეთ! (ძალი დღუნე დასვა) კახეთის პარტიზანული რაზმი იბრძვის.
დინა. კახეთის პარტიზანული რაზმი...
სერგო. დიახ, გუშინ კომუნისტებს ებრძოდნენ, დღეს ოკუპანტებს... (რამდენიმე გასროლა, ტყვია აბაჟურს მოხვდა, აკაშლდა) იატაკზე! (ძალი იატაკზე დასვა.) ხედავთ, კინალამ შეეწირეთ.
დინა. აბა, რა ვქნა, ნაკაშიძის სახლში სძინავთ, აქ სანახაობაა, ცხვრის ფარა, თუ ლომების ჯოგი!
სერგო. შენ ფერია ხარ...
დინა. „ირონისათვის დაგზერეთ!“ აი, რა უნდა გეთქვა.
სერგო. ტყუილა ვიმუქრები, არა გჯერა? აბა, რევოლვერიც კი არა მაქვს. (კიბეები გაღმობრიალა.)
დინა. კომუნისტი — უიარაღოდ, ებისკოპოსი — უჯვროდ. თქვენს მოსასპობად თურმე ორი გვარდიელი კმაროდა.
სერგო. ნამდვილად.

დინა. ჰა... (კურატის ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.)

სერგო. რა არის ეს?!

დინა. მიჩუქნია.

სერგო. გმადლობო. (რევოლვერი ხელში შეტრიალა, შეფერდა.)
შტერს იარაღს არ მივცემდი...

დინა. ვიცი. ოქვენი უნდობლობა ცნობილია. (რამდენიმე გასროლა.

წარწერა „რევოლვი“ აფარფარდა).

სერგო. თავი დაღუნეთ!.. (ქალს გადაეფარება.)

დინა. სული შემეხუთა.

ტელეფონის ზარის ხმა.

რიფათა (გამოწრდა ყურმილში). გისმენთ... რიფათა ვარ, გენერალო. დიანს გადავცემთ... მანიაშვილმა მბეჭდავი ქალი გამომიგზავნეთ.

სერგო. წახვალ?

დინა. მე, იმ არამზადა გენერლებთან, რომლებიც კომუნისტებს მიემხრნენ?

სერგო (აფიცვით). არავისაც არ მიემხრენ, მშობლიურ მიწას ეწირებიან. წახვალ?

დინა. არა!

სერგო. გენერალს გადაეცით, რემინგტონზე მბეჭდავის მოვალეობას დინა ვაჩნაძე შეასრულებს-თქო!

დინა. არა!

სერგო. გადაეცით, ცარსკოე სელოს ყოფილი კომენდანტის გენერალ ვაჩნაძის ქალიშვილი-თქო!

რიფათა (ყურმილში). არის გენერალი, მბეჭდავი მოდის!

დინა და სერგო იატაკზე სხედან.

მოქმედება მესამე

სურათი მეშვიდე

ქართული ლაშქრის შტაბის ბინა. ნესტიანი კედლები, მრავალი გასასვლელი. ორი ერთმანეთზე შედგმული ჩემოდანი შესაწინევე ადგილას დევს. ხელიხელჩაკიდებული სუშბათაშვილი და ანდრონიკაშვილი ადგილს ტყეპნიან და ზუზუნებენ:

ალი ხე, მალი ხე, სილიხე... ჰოპ! (შეტებიან.)

ისინი ახლა დიდ ბეჭებზეა ჰკვანან.)

ბლიკა კაცსა ბლისკინასაჲ ჰოპ! (ჩაიხულებენ.)

ბლის კალათით ბლის ხილზედა... ჰოპ! (შეტებიან.)

ბალი გაქონდ-გამოქონდა... ჰოპ! (ჩაიხულებიან.)

პუუა. სიჩუმეში რემინგტონის ხმა ისმის.

ანდრონიკაშვილი. ეს ოხერი რემინგტონი ყურებში ჩაქუჩივით მირტყამს.

სუშბათაშვილი. სამხედრო დიქტატურის სულისჩამდგმელი უკაცუნებს.

ანდრონიკაშვილი. ყველაფერი გაბიურდა.

შემოდის გოგელია.

გოგელია. ქალაქის თვითმმართველობის გუმბათზე საბჭოთა-ხელისუფლების დროშა ფრიალებს!..

ანდრონიკაშვილი (პოზის შეუცვლელად). გამახარე.

გოგელია. ქალაქის კომკავშირელებმა ააფრიალეს! ო, რა ბიჭები არიან?!

ანდრონიკაშვილი. წინ რა დაუდგებათ. გენერალმა ართმელაძემ სტეფანოვკისა და ანარიის ფორტები დაიკავა. გენერალი წულუკიძე პოზიციას არ თმობს. ქარუმიძის არტილერიისტები გაწყდნენ.

გოგელია. გაწყდნენ, მაგრამ წინ მიიწევენ. ქალაქის მოსახ-

ლეობაში ოცი მოხალსე არტილერისტი, სულ ოფიცრები შევეკრიბეო, ქარუმიძე მამაცია, ახლა ის უტევს.

ანდრონიკაშვილი (ისტერიულად). დიახ, გამარჯვებას ვერაფრითარი ძალა ვერ აღუდგება. ჩვენ ყველანი კომუნისტები ვართ! (წაიოწყო.) ალი ხე, მალი ხე, სილიხე... ჰობ! (შეხტება.)

გოგელია (გაავიწყებულა). შე კაცო...

სუმბათაშვილი. გამარჯვება მოდის...

ანდრონიკაშვილი. ჩვენ მივდივართ, თქვენ დროშას გაუმარჯოს, გოგელია.

გოგელია. შე კაცო...

ანდრონიკაშვილი (წაიოწყო). ბლიკსა კაცსა ბლისკინასა... ჰობ.

დინა (გამოჩნდა). ბატონებო, მტრის სარდლობამ დელეგატი გამოგზავნა, მიღებას თხოულობს. (ავიდა.)

ანდრონიკაშვილი. შემოუშვით.

გოგელია. ახლავე.

ანდრონიკაშვილი. „ბლიკსა კაცსა ბლისკინასა...“

სუმბათაშვილი. არ შეუხტე...

მეოთხე სურათიდან ნაცნობი ოსმალ ოფიცერი გამოჩნდა.

ოფიცერი. ბატონებო, ქიაზიმ ბეის დავალებით ქართველების მთავარსარდალთან მიმისვით.

სუმბათაშვილი. მთავარსარდალი ბრძოლის უბანზეა. გულპარაკებით სარდლის მოადგილე გენერალი სუმბათაშვილი და შტაბის უფროსი გენერალი ანდრონიკაშვილი.

ოფიცერი. ბატონებო, თხუთმეტსაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგეთა მთავარსარდლები და რეკოში შეთანხმდნენ, რომ მხარეები შვიდობიან მოლაპარაკებას გაემართავდით. ამის მიუხედავად, თქვენ ცეცხლს გვიშენთ და ბრძოლას აგრძელებთ. რას მივაწეროთ თქვენი მოქმედება?

სუმბათაშვილი. თქვენს უსაქციელობას უნდა მიაწეროთ.

ოფიცერი. ჩვენსას?!

სუმბათაშვილი. დიახ. მშვიდობაზე შეთანხმებით დროს იგებთ და მაშველ ძალებს ელოდებით.

ოფიცერი. უსაფუძვლო ეჭვი.

სუმბათაშვილი. ზღვიდან ელოდებით.

ოფიცერი. სიზმარია!..

ანდრონიკაშვილი. ჩვენს საუბარს საბუთი შემოკლებს,

ინებეთ. (მაილაზე ქალღი აიღო, ოფიცერს გაუწოდა.) ქიაზიმ ბეის დეპეშის ვაშიფრული ასლი. დეპეშა ვაგზავნილია ცეცხლის შეწყვეტის დათქმულ პირობის შემდეგ. რეკომმა და ჩვენმა სარდლობამ სწორად ივარაუდა ომი ოცდაათხუთსაათის განმავლობაში.

ოფიცერი. თქვენ, დეპეშებს იკერთ? (ქალღს ხელში ატრიალეს.) ანდრონიკაშვილი. ბოდიშს ვინდით, რომ თქვენს საიდუმლო ზრახვებში ჩავიხედეთ.

ოფიცერი. მაპატიეთ, მოვასხენებ ჩემს სარდლობას, რომ ვაშიფრული დეპეშა მაჩვენეთ.

ანდრონიკაშვილი. თან წაიღეთ, ზედმეტი შეკითხვებისაგან გაგათავისუფლებს.

ოფიცერი. მადლობას მოვასხენებთ, ბატონებო. (დადის.)

სუმბათაშვილი (დაეღა ტელეფონის ყურმილი აიღო) ემხვარი ემხვარი! ქარუმიძის საარტილერიო უბანი შემოერთეთ. მაიორო, ბატარეა წინ წასწიეთ, დაკავებულ ფორტებზე სულის მოსათქმელი არ დაუტოვოთ, გენერალ ართმელაძის უბნიდან ქვეითა ნაწილის შევსებას მიიღებთ საიერიშოდ... (ყურმილი დაღო. ყვავ აიღო.) ემხვარი! ემხვარი! ჩემი გესმის? დუკავშირდით გენერალ ართმელაძეს, სარეზერვო ასეული ქალაქზე გავლით ქარუმიძის განკარგულებაში გადასროლოს, დაუყოვნებლივ, ერთი საათის განმავლობაში! (ყურმილი დაღო.)

გოგელია. თქვენ გენაცვალეთ!.. მე რა ვქნა?

ანდრონიკაშვილი. გვიხელმძღვანელე.

გოგელია. შე კაცო, გხელმძღვანელობთ, აბა, რა მოხელე ვარ, მარა ეს ოხერი, სამხედრო საქმისა არაფერი გამეგება.

ანდრონიკაშვილი. რაც გაგეგება, ის გააკეთე.

გოგელია. რა?..

ანდრონიკაშვილი. ჩვენი შტაბის დაცვა შეაიწმე — მეტყვიამფრქვევეები, მეთოფეები და, პოლიტიკური ლაქლაქი სუყველას მოუშალე.

გოგელია. გასაგებია, გენერალო.

ანდრონიკაშვილი. ეჭვი არ შეგეპაროს, მენშევიკი და ბოლშევიკი ჩემთვის სულ ერთია.

გოგელია. ვიცო, შე კაცო. (დადის.)

ანდრონიკაშვილი (წაბლიწინებულად). „ბლიკსა კაცსა ბლისკინასა...“

სუმბათაშვილი. „ჰობ“ — არ თქვა. (ჩამღე ყურმილით იშენდა ყურმილი დაღო.)

ანდრონიკაშვილი. რაო?

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. უბნებიდან მალე რელაციებს მივიღებთ. ოპერაციები წინასწარი გეგმით სრულდება.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. გესმით?..

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. გამარჯვების ყოყინა. კიდევ რამდენიმე საათი და, მორჩა, კილიო-კილემდე კომუნისტები დაეუფლებიან.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. მერე ჩვენც იმათთან ერთად... (წაო-იზღერა) „აღსდევ, ბეჩავო შრომის შვილნო, ქვეყანავ, მშვიერ მონების“.

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. კიდევ კარგი, რომ ცოლ-შვილი თანა მყავს, გულა-ნაბაღს აგვიკრავენ და ბარემაც ცოლ-შვილთან ერთად...

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. უცხოეთით ცოლ-შვილს ვერ დავსჯი. იმათ წაწაღს ვერ შეკურადებთ. ჩვენ სხვის ქუჩაზე მოჩხუბრებს ვგავართ... არა, სხვისი ქუჩის ბიჭები შინ ბრუნდებიან, ჩვენ ქუჩა არა გვაქვს.

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. გენერალო, არ გეკადრებათ.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. მე ლომის ჯიშისა ვარ.

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. არ მესმის, წუწუნებთ და ყველაზე მძლავრ ცხოველს კი ედრებით.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქართველი ლომსა ჰგავს, თავისი ქვეყნის იქით, არც მეფობა უნდა, არცა სიკვდილი. ჰეი, მანდ რომელი ჭარ?

რ ი ფ ა თ ა (გამოჩნდება). რიფათა ვარ, გოგიტიქე.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. დინა ვანჩაძეს სთხოვეთ. (რიფათა მიიმალება)

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. დასაბეჭდი თავსაყარად ჰყოფნის.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. მე არაფერი მაქვს. (დინა გამოჩნდა.) ქალიშვილო, ხედავო, ჩვენი განადგურებული ლაშქარი დღეს რა ლაზათიანად იბრძვის...

დ ი ნ ა. ოკუპანტების სიძულვილმა აღაფრთოვანა.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ოკუპანტებს რომ გავრეკავო, მერე კომუნისტებს მივებრუნდეთ. უპარტიო გენერლების დიქტატურა დავამყაროთ, როგორც ამბობდით.

დ ი ნ ა (მწარე ლოპილით). დღეს გენერალ მაზნიაშვილის დებეშა გავგზავნე. ვრცელი ტექსტი „საჯაუახოს შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ ძაგანას: ცარიელი მატარებლები გადაეცით წითელი არმიის ნაწილებს“ დაიხ...
ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. თანახმა ვარ, იყოს გენერლების დიქტატურა. ბათუმი და მისი ოლქი — აჭარა! მსოფლიოში ჭუჭა სახელმწიფოთა შორის სახელგანთქმული გოლიათი შეგვქმნათ.

დ ი ნ ა. ბატონებო, გუშინ რაც ვთქვი, დღეს სისულელეა.

120

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქალიშვილო, ერთ დღე და ღამეში საოცრად შეცვლილხართ!

დ ი ნ ა. საოცრად შეიცვალა სიტუაცია, პოლიტიკა ცეცხლზე შედგმულ რქესა ჰგავს, წამითაც თუ თვალი ააცილოთ — აფოფინდება.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. პირდაპირ, როზა ლუქსემბურგის ჰქუთა გაქვთ.

დ ი ნ ა (ეშმაკური ლიპილით). გმადლობთ, ბატონებო, ნუ გავიწყდებთ თქვენს ყველანაირ კომუნისტებზე ხართ...

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი (გველნაბეჩივით). რაო?!

სუ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი. დიახ, ოცდაოთხი საათით.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ღმერთო, ჩემო!..

შემოდის მაზნიაშვილი.

მაზნიაშვილი. ბატონებო, რა მოვლით?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ჩვენ იდიოტები ვართ!

მაზნიაშვილი. საბოლოო დიაგნოზია?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. დიახ, ვისთვის იხოცებიან ჩვენი ქარისკაცები?

მაზნიაშვილი. ყმაწვილებო, მოვლენები ბუნებრივად ვითარდება, თითქმის გამარჯვებულები ვართ.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. გენერალო, რა დროს ირონია.

მაზნიაშვილი. გავიმარჯვებთ და გავიქცევით, ალბათ, ეს უნდა მეთქვა.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. დიახ, მაგრამ სად გავიქცევით?

მაზნიაშვილი. დამარცხებული კაცის ფიქრები თავში არ მომდის განა ტყუილა ვიყიდე ის ორი ფუთი მავთული, თემის ნაპირებზე, ჩემს სოფელში, ახალი ვენახის ჩაყრას ვფიქრობდი.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქართული არმია აღდგა, ხადავთ რა ლაზათიანად იბრძვიან.

მაზნიაშვილი. რას მირჩევთ?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. იქნებ ჭუჭა სახელმწიფო შეგვქმნათ — აჭარის რესპუბლიკა!

მაზნიაშვილი. ჭუჭა სახელმწიფო?.. (ნიშნის მოგებით) რეკომის მოელაპარაკეთ.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ლამის თავი გამისკდეს, ცეცხლი მეკიდება!

მაზნიაშვილი. ცეცხლსაც და რწმენასაც ზღვარი დაუდლოთ. (დინას) მოაჩუქეთ ტექსტი: „ქართული ლაშქრის ყველა გენერალს, ოფიცერსა და ჯარისკაცს, მეთერთმეტე წითელი არმიის წინააღმდეგ, ნეომარი ლაშქრის ყველა გვარეობის გაფანტულ ნაწილებს დაშლი-

121

ლად ვაცხადებ. ყველა სახის იარაღი და აღალი საჯავახოს გზით მო-
შავდა წითელ არმიას ჩაბარდეს. მეთაურთა შემადგენლობას დე-
ნობილიზებულად ვაცხადებ. ოფიცრობას საკუთარი რწმენითა და
სურვილით შეუძლია წითელი არმიის რიგებში შესვლა. წვევამდელთა
ასაკის ჯარისკაცები სამხედრო ვალდებულებას წითელ არმიის მოიხ-
დიან. საინტენდანტო სამსახურს ვავალდებ სადემობილიზაციით ქირა
დაუყოვნებლივ ყველა საშუალებით გასცეს. (პაუზა) ქართული ლაშ-
ქრის არიერგარდული ფრონტის მოთავე, ბათუმსა და მთელ ოლქში
შოქმედი ქართული წითელი ჯარის სარდალი გენერალი მაზნიაშვილი.
გარანდეთ, დაბეჭდეთ და ხელმოსაწერად შემომიტანეთ.

დ ი ა გ ა დ ის .

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . მერე?

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . რა შერე?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . ჩვენ გარიყულ ქანარივით სულს ვლა-
შავთ.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . მეც იმ რიყზე ვარ!

რ ი ფ ა თ ა (ვაიხნდა). მტრის შტაბიდან ოფიცერი გეახლათ.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . შემოუშვით. (რიფათა მიიმალეზა)

შემოვიდა ოსმალ ოფიცერი

ო ფ ი ც ე რ ი . ბატონებო, ქიაზიმ ბეის დავალებით გთავაზობთ
ზავს.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . მოლაპარაკებას გამართავთ, როცა ქალაქის
ფოსტა-ტელეგრაფს დაცლით. ძვირფასი აპარატურის გადარჩენის
შინხით ჩვენ ამ შენობაზე იერიში არ მიგვაქვს, ნებით უნდა დასცა-
ლოთ. მეორე, ერთი საათის განმავლობაში კახაბრის ფორტებზე ცეცხ-
ლი შეწყვიტეთ და ჯარი გაიყვანეთ.

ო ფ ი ც ე რ ი . იარაღი დავყაროთ?

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . თქვენი იარაღი მე არ მჭირდება, მაგრამ წე-
სია და უნდა დაყაროთ. (ღიმილით) გნებავთ, სასულე ორკესტრით გა-
გაცილებთ?

ო ფ ი ც ე რ ი . ორკესტრი დიდი პატივია, როცა გამარჯვებას აუწ-
ყებენ.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . ჩვენ მზიარულ მუსიკას დაფუკრავთ.

ო ფ ი ც ე რ ი . მით უმეტეს, დიდი მადლობა. გენერალო, ზავის
შილწევის შემთხვევაში, გთხოვთ, ერთი დღის სამყოფი პური
დაგვითმით. ჩვენს გარნიზონს სამი დღეა არაფერი უჭამია.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . ერთი დღის საგზალი არ გეყოფათ. ჩვენ იმ-

დენ პურს მოგცემთ, რამდენი დღის გავლაც მოგიხდებათ — სამი
დღის საგზალი. დიახ, სამი დღის.

ო ფ ი ც ე რ ი . მხოლოდ ერთი დღის.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . მაშასადამე, უკან დახევას ერთი დღის სა-
ვალზე ფქრობთ?

ო ფ ი ც ე რ ი . დიახ, გენერალო.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . ის გადაეცით, რაც შემოგთავაზებს.

ო ფ ი ც ე რ ი . ქიაზიმ — ბეი ჯიუტია.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . ხასიათების გაცნობა — მერე, როცა ომი
დამთავრდება.

ო ფ ი ც ე რ ი . ყოველივეს ჩემს სარდალს მოვასხენებ. ნახვამდის.
(წაველა დეპარტა)

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . შეჩერდით. (ოფიცერს ხელი წაკრა, თით-
ქოს ვაიხნო.) ჩვენ, ამ კაი ბიჭებს ოსმალეთში წაგვიყვან?

ო ფ ი ც ე რ ი . რა ბრძანეთ?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . ოსმალეთში.

ო ფ ი ც ე რ ი . საქმე შემოგელიათ?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . მიპასუხეთ!

ო ფ ი ც ე რ ი (ყველას შეათვალიერებს). ბატონებო, ნუთუ ისეთი
ბრიყვის გამომეტყველება მაქვს, რომ ჩემი შემყურე, პამპულაობის
ხასიათზე მოხვედით.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . გვიპასუხე, წაგვიყვან?

ო ფ ი ც ე რ ი . კომუნისტები არა ხართ?.. არც თანამგრძობნი?

მ ა შ , კომუნისტებისათვის რატომ იბრძვით?

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემთ,
ჰქუა არ მყოფნის.

ო ფ ი ც ე რ ი . რატომ, ომის ინტერესები საიდუმლოდ არ ინახება.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . წაგვიყვან? (ულვაში ყურებად წაგარქელა)

ო ფ ი ც ე რ ი . თქვენ გამარჯვებულები ხართ.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . მანამდე კომუნისტებს ვებრძოდით.

ო ფ ი ც ე რ ი . ახლა? სისხლსა ღვრით. სისხლი! ამაზე დიდი გა-
მოსასყიდი არ არსებობს.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი . მკვდრებს შეუნდობენ, ცოცხლებს არა.

ო ფ ი ც ე რ ი . თუ ასეა, შევერთდეთ და ერთად ვებრძოდით.

ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი (იქით ვაიხნო, სითაც ღიწა ვგულუბა). პო-

ლიტიკა ცეცხლზე შედგმულ რძესა ჰგავს, ის გუშინ აფოფინდა, გა-
დაფიფინდა და ქვაბში აღარაფერი დარჩა. ერთად ბრძოლა გუნებაში
აღარ გაივლით. ხედავთ, ესენი ჩვენი ჩემოდნებია, უნდა გავიქცეთ.

ო ფ ი ც ე რ ი . ჩემოდნებში რა გაქვთ?

ანდრონიკაშვილი. საოჯახო ხარახურა.
ოფიცერი. სისხლი ვილასათვის დაღვარეთ?
ანდრონიკაშვილი. მიწისთვის.
ოფიცერი. მიწაზე თუ კომუნისტები ბატონობენ?
ანდრონიკაშვილი. ეს ხალხის საქმეა — ვინც უნდათ, ის დაისვან თავის ბატონად. მთავარია, მიწა მიწის პატრონს ჩაბარდეს! ასეთია ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმულა.
ოფიცერი. თავბრუ მეხვევა, დავკვდები.
ანდრონიკაშვილი. დაბრძანდით.
ოფიცერი. სისხლი დაღვარეთ, ბრძოლა მოიგეთ, გარბინართ... ამოვხსენი! თქვენ ფული მიიღეთ!
ანდრონიკაშვილი. რა ფული?
ოფიცერი. ღმერთო...
ანდრონიკაშვილი. ჩვენ ხატონები ვართ! (ყველას) ეს სიტყვა ერთხელ ფშვში გავიგონე, მეორედ ბათუმში. რა დიდებულად ყლერს — ხატონები!..
ოფიცერი. ხატონები?
ანდრონიკაშვილი. კერპის მსახურნი!..
ოფიცერი. კერპი ვინ არის?
ანდრონიკაშვილი. მიწა!
ოფიცერი. მეტე, ვის რჩება თქვენი მიწა?
ანდრონიკაშვილი. თავიდან დაიწყეთ?!
ოფიცერი. საფასურად რა მიიღეთ?
ანდრონიკაშვილი (მოთმინებადკარგული). ვირის თავ-ფეხი!
ოფიცერი (ოფლს იწმენს). ნახვამდის.
ანდრონიკაშვილი. იცოდეთ, ჩვენი თხოვნა ომის მსვლელობაზე არავითარ გველენას არ მოახდენს.
ოფიცერი. გასაგებია, თქვენ სამშობლოსათვის თავდადებულნი ცოფიანები ხართ. დამარცხებული მხედრონისათვის იმაზე დიდი პატივი და გამოსყიდვა რაღა იქნება, რომ გამარჯვებულ გენერლებს თან წაგიყვანთ. სიამოვნებით. მსგავსი შემთხვევა სამხედრო ისტორიას არ ახსოვს. ბატონებო, ნახვამდის, კვლავ შეხვედრამდე. (ოფიცერი რამდენჯერმე დატრიალდა) ნება მომეცეთ თქვენი ჩემოდნები თან წაგიღო, რომ მეტე თქვენი წაყვანა გამოადვილდეს.
ანდრონიკაშვილი. წაიღეთ. (ოფიცერი წავიდა)
სუმბათაშვილი. ვიფი ხარ, ანდრონიკაშვილო...
ანდრონიკაშვილი. მოდის გამარჯვება და მივდივართ ჩვენ. ვათავისუფლებთ მიწას და ზედ ფერის დასადგმელი აღარ გვჩვენება.
სუმბათაშვილი. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე...

მანიაშვილი. თუ შართალს ვიტყვი, თქვენ არაფერი გპირთ დადასახვეწი. ეს მე ვარ, კანონგარეშე რომ გამომაცხადეს.
ანდრონიკაშვილი. ჩვენ კიდევ, ქათმებივით ზედ დაგვაკლავენ.
მანიაშვილი. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ვირჩიოთ და — დაგვხვრიტონ, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... მაგრამ, ჩვენ ხომ პატრონად ვემსახურებოდით ჩვენს სამშობლოს.
ანდრონიკაშვილი. თქვენი პატიოსნება კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა იყო, დიახ!
ოფიცერი (გამოჩნდა). გენერალო, დივიზიონის უფროსი მაიორი ქარუმიძე ტელეფონთან გთხოვთ, კაცი გადარეულს ჰკავს. (მიიძალა)
მანიაშვილი (ყურმილი აიღო). გისმენთ... საიერიშო შევსებას არ გაძლევენ? მესმის... მაიორო, რუხაძის ჩაძაღვება დიდ დროს დაგაკარგვინებს, მე დაგეხმარებით, გენერალ ართმელაძეს ღვეუკავშირდები, კომანდა ამირეჯიბს გადააბარეთ. შტაბში გამოცხადდით. სამთო ბატარეის ცეცხლი გამავონეთ, ოღონდ მიზანში, ჭურვების დაუზოგავად!... (ყურმილი დაღო) გენერალო, საველე ბატარეას შევსება ჯერაც არ მიუღია. იმოქმედეთ! თქვენ-თქვენს საკომანდოზე გთხოვთ. (ხელქვეითები გადიან, ზარბაზნები აგრადა, მეტე მიწის ხმა შეცვალა. ყრულ ისმის.)
დინა (გამოჩნდა. ხელში ქაღალდები უჭირავს). გენერალო, ინებეთ, ბრძანების პროექტი ქართული ლაშქრის დაშლის თაობაზე. აი, ხელს აქ მოაწერეთ. ესეც...
მანიაშვილი. დიახ, გმადლობთ. უცხოეთში როდის მიემგზავრებით?
დინა. არ ვიცი.
მანიაშვილი. ნუ წახვალ, შვილო. ჩვენს რეგომს უყვარჩარა. (ხელმოწერილი ქაღალდი დაუბრუნა) გაამრავლეთ! (დინა გადის. მანიაშვილი შავიდასთან სხვა ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს.)
გვარდიელი გამოჩნდა, თითქოს მიწიდან ამოხვარა, გაშიშვლებული მუხურით ქმარში გუჩრია, ქაღალდის გრაგნილი უჭირავს.
გვარდიელი (გრაგნილი დაიმოწმა). განაჩენი! (მანიაშვილი აღდა) ქალაქში დაბანაკებული მენშევიკური „სახალხო გვარდიის“ დაშლილი ნაწილის განაჩენით გენერალი მანიაშვილი გამოცხადებულია მოლაულატელ: კომუნისტების სამხედრო ძალით საქართველოს დაპყრობის მომენტში უარყო რწმენა, გატეხა ფიცი, მტრის ბანაკში გადაიბირა მთავარსარდლობა და ქართული ლაშქარი წითელი ჯარის ნაწილებად გამოაცხადა. ანტიკომუნისტურ პროპაგანდას თავს ლაფი დაასხა. დამოუკიდებელ საქართველოს ლახვარი ჩასცა! მიწისა და კაცის წინა-

შე ლატისათვის გენერალი მაზნიაშვილი დაიხვრეტოს! ახლავე, სა-
ველე სასამართლოს წესით! განაჩენი საბოლოოა. (გრაფილი ხელიდან
გავლო, ქაპარში ვარდო მუხერს წაეთანა, რომ ბოლო სიტყვებზე შემოსული
რიფათა გვარდიელს ორივე ხელით ჩაებლაუქა, მუხერსიან ხელზე ჩამოეკიდა.)
რიფათა. მიშველეთ!.. (ორთავილილიში მუხერსი გავარდა.) აუ, მომკ-
ლეს. ნარგიზა!.. (რიფათა დაეცა. ქარუმიძე გამოჩნდა.)

ქარუმიძე (იარაღმომართული). არ გაინძრეთ!..
დინა (გამოჩნდა. რიფათასკენ გაეშურა). ბიჭო...
ქარუმიძე. ხელს მიშლით!.. (დინა შეჩერდა. სუმბათაშვილი და
ანდრონიკაშვილი გამოჩნდნენ)

გოგელია (გამოჩნდა). შე კაცო, სიკვდილი რა გეჩქარებოდა.
ქარუმიძე. გაჩუმდით! (გვარდიელი მიზანში ჰყავს.) ვის დაუ-
მიზნეთ?!

გვარდიელი. გვარდიის განაჩენით...
ქარუმიძე. გვარდია — უმაქნისების პარტიული არისტოკრა-
ტია!..

გვარდიელი. მიზანი გამოვასწორე, აცდენილი ტყვიით კომუ-
ნისტი მოვკალი!

ქარუმიძე. ჯარისკაცი მოკალი!
გვარდიელი (უკან იხევს, ქარუმიძე მიიწევს). კომუნისტი მოვკალი!
ქარუმიძე. ჯარისკაცი!..

გვარდიელი (კარის ზღურბლზე). კომუნისტი!..
(გაიქცა ქარუმიძემ ტყვია დააღვენა. სინუშა.)

ქარუმიძე (გტოვდა). ჩვენ ყველანი კომუნისტები ვართ. ოც-
დაათხი საათით.

გამოჩნდა სერგო.

სერგო. უსისხლოდ ჯობდა.
დინა (შუფინობდა). ჩვენ ყველანი კომუნისტები ვართ... ოც-
დაათხი საათით.

სერგომ დინას შეხედა, არ უპასუხა.

სერგო. ეს მამაცი ბიჭი აზიზიეს მოედანზე დასაფლავებ-
როგორც სამშობლოსათვის თავდადებული გმირი. ზარბაზნების გრი-
ალით აუწყეთ ყველას, ამისი სული მადლა იფრენს — საქართველოს
ცაზე.

მაზნიაშვილი (აქამდ რომ რიფათას თვალს არ აცილებდა). ეს ბიჭი
ცოცხალია.

სერგო. თათებში იცოცხლებს მისი სახელი.

მაზნიაშვილი. ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი, ასე იოლად
არ მოკვდება.

სერგო (ახლა მიხვდა სიტყვის პირდაპირ აზრს, რიფათას მივარდა, სინ-
ყავს). გენერალო...

მაზნიაშვილი. არც დაუჭრიათ, განაკაწრიც არსად ექნება.
სერგო. ნუთუ მართლა? (სინყავს.)

მაზნიაშვილი. უბრალოდ, დაძაბული წევს. ასეთი შემთხვე-
ვა ევროპაში მინახავს, ვარშავის ფრონტზე.

სერგო. სუნთქავს...

მაზნიაშვილი. რაიმე სასიამოვნო გაავონეთ.

სერგო. სასიამოვნო?

მაზნიაშვილი. დიანს...

გოგელია. შე ვეტყვი... რიფათა გოგითი, ჩვენ გავიმარჯვებთ,
უმრავლეს ფრონტზე ჩვენი დროშები ფრიალებენ! გლუხებს მიწები
დაურიგდებათ!

მაზნიაშვილი (წყვეტივნებს) უფრო გასაგები ერთ უთხარით,
თქვენ ლოზუნგებით მიმართავთ.

დინა (რადიკ მოიფიქრა, რიფათასთან ჩაცუქდა). რიფათა, ბიჭო, ნარ-
გიზა ვარ, ნარგიზა!.. შენ რომ სოფლიდან წახვედი, მას მერე ძილი
არ შემომფრენია. თვალშია ვწევარ, ქაქუთში ამბობენ, რიფათა შორ
გზაზეა, მოივლის, მთელ საქართველოს შემოივლის და შინ მშვიდო-
ბით დაგვიბრუნდება. შე არ ვტირი, რიფათა, მარა შენს ნენას, რომ
დავინახავ, ბიჭო, კურცხალი მისით გაჩნდება თვალზე, გულს არ
გკითხება. შენ რაც წახვედი, ბიჭო, სოფელმა მოიწყინა. ასლან ბაბუა
ოხრავს, ხმას აღარ იღებს. შენი ტოლები ამბობენ — რიფათა ჩამოგა-
დიდო, გაზრდილი და ლამაზიო. (ცრემლი წასკლა.)

რიფათა (შეინძრა). ნარგიზა...

მაზნიაშვილი. ფეხზე დააყენეთ, სწრაფად!
ანდრონიკაშვილმა ჯერ სერგომ მხრებში სტაცის ხელი

რიფათა. მომეყურა? გენერალი ცოცხალია, ხმა გავიგონე... გო-
გელია, ჯო, აზიზიეს მოედანზე არ წევხარ?

გოგელია. შე კაცო...

კალანდარიძე (გამოჩნდა, სულს ძლიერ ითქვამს). არტილერიამ კა-
ხაბრის ფორტები აიღო! უმსხვერპლოდ არ იქნა, მაგრამ ოფიცრობას
ჰქუა ჰქონია და ჯარისკაცებს სიმამაცე, კაცი გავსულელი. (ნახიბი
გავიფრებული) აუ!

სინათლე ქრება.

შეექცე სურათის განლაგება. რეკომი. ყოფილი გუბერნატორის სკამზე კა-
ლანდაძე ზის. ქალღმერთის, თავატივებული ფიჭის მისცემია.
რიფათას შემოსვლა ვერ გაფიქ.

რიფათა. კალანდაძე, ოკუპანტებმა ქალაქი დაიკავეს, ზოგი
ზღვით მიდის და ზოგი გონიოს გზით. სახლებზე დროშები ყაყაჩოსა-
ვით ამოცვინდა. საჯავახოდან პირველი ეშელონი შემოვიდა. გაუმარ-
ჯოს წითელ არმიას! — ყვირეს რევკომის წევრებმა. სრულიად საქარ-
თველოს საბჭოთა რესპუბლიკას — ურას! — უბასუხეს წითელარმიე-
ლებმა.

კალანდაძე. ჰო...

რიფათა. კახაბრიდან წითელი კავალერია შემოდის. დივიზიის
მეთაური ულობა გაგიგონია?

კალანდაძე. ულობა?

რიფათა. იმის სიგრძე ყოფილა, ჯო, იმის სიგრძე, რომ ცხენზე
გადამჯდარი ფეხებს მიწაზე მოალაყუნებს!

კალანდაძე. რიფათა, მსოფლიო მასშტაბით გამარჯვება შორს
არის.

რიფათა კი ერთი, რისთვისაც ვიბრძოდით, ის ჩენია. (მო-
იწმინდა) ხვალ, დღის 12 საათზე, აზიზიეს მოედანზე დაასაფლავებენ
გმირებს, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში
დაეცნენ. სამარადისო ღიძება მათ! ადექი, ჯო... (კალანდაძე აიზღანა)
დაჭექი, ჯო.

კალანდაძე. რიფათა გოგირტიმე, ბრძოლა არ დამთავრებულა,
კლასობრივი მტერი სახლში გვყავს.

რიფათა (ინტერესით). სად არიან, ჯო?

კალანდაძე. ჩვენს ცხვირწინ.

რიფათა. ვინ, ჯო?!

კალანდაძე. ძველი ოფიცრობა, გენერალ მაზნიაშვილის მე-
თაურობით.

რიფათა. რა თქვი, ჯო?

კალანდაძე. სუყველა ერთად, მთელი შტაბი და მისი ამჟოლ-
დამყოლი.

რიფათა. გადელდი?! კი, შენ დელი ხარ. აბღალი!

კალანდაძე. გოგირტიმე! შენ ყნოსვა გაკლია, მაგათთან ანგა-
რიშს ახლავე უნდა მოგრჩეთ, სანამ ხელში გვყვანან. გამოსადენი სის-
ხლი უნდა გამოდინდეს.

რიფათა. მერე, სისხლი ხომ დაღვარეს, ჯო?!

კალანდაძე. ვინც დაღვარა, ქალაქის შუაგულში ვასაფლა-
ვებთ. ვინც არა — წარსულისათვის პასუხი აგოს.

რიფათა. ჩემი მაუზერი მოიხსენი, ჯო!

კალანდაძე. ჭკვიანად იყავი.

რიფათა. ჩქარა მოიხსენი, ჯო! (მაუზერის დვეზე ხელს ჩააფლავს.)

კალანდაძე. როგორ მიბედავ, მე რევკომის დაცვა ვარ!
ხის ბუდე-მაუზერი რიფათას ხელში შერჩა.

რიფათა (მაუზერს გააშვივებს). გადი გარეთ, ჩქარა, ჯო!

კალანდაძე. არ გასულელდე!

რიფათა. ჰა, შენი რევოლვერი... (ჩაბიდან რევოლვერი ამოიღო,
მიუგლო) ხმა არ ამოიღო, თორემ კოჭს მოგამტვრევ!

კალანდაძე. არ გასულელდე!

რიფათა. ჩქარა, ჯო! (კალანდაძე შებრუნდა. გოგელია გამოჩნდა
ხელში ორი ნაცნობი ჩემოდნით.)

გოგელია. ერთმანეთს დაერიეთ?! რას შერებით, შე კაცო?!

კალანდაძე. მერე ვეტყვი... (გაღის.)

რიფათა. ახლა გეტყვი, ვინც ცოცხალი დარჩა, ყველას დაქვარა
მოუნდომა!

გოგელია. ჰოდა, სწორად გაგიგლია, ეს ნაჩუქარი მაუზერიც
შენ წაართვი?... ჰოდა, სწორად წაგირთმევი, შე კაცო... გენერლების
ჩემოდნები ძლივს გამოიქნენ, ოკუპანტებს მიჰქონდათ, ამას რა
უფიქრია! (ჩემოდნები მრავალ მაგიდაზე დაწყო.) ციხეშია ჩასამწყვდევი!

რიფათა (ჩემოდანზე მიწებებულ ქალღმერთს თვალი მოჰკრა). ეს რა ქა-
ლადღებია?

გოგელია. ამონაწერი საქართველოს საბჭოთა მთავრობის მა-
ნიფესტიდან, ყველა ძველი გენერალი და ოფიცერი ამინსტირებუ-
ლია და ნურსად გარბიანო... გენერლებს, გადაეცი: ყველა რომ რევო-
ლუციის მომღერალი ყოფილიყო, მაშინ რევოლუციის ბელადი მომ-
ღერალთა გუნდი იქნებოდა — ძმები ჩაუღიშვილების მეთაურობით!
ასე გადაეცი.

რიფათა. (ქაშე რომ ჩემოდანზე ტეპტეს კითხულობდა). მაზნიაშვი-
ლის ჩემოდანი, ჯო?

გოგელია. მაზნიაშვილს ჩემოდანი არა აქვს, ერთი ბლუზა-შარ-
ვალი და ჩექმა ზიდ აცვია და ჯონი ხელში უჭირავს. ოჯახი სოფელში
ჰყავს. აქაურობას მიხედე. (გაღის.)

ტელეფონის ზარის ხმა.

რიფათა (ყურმილი აიღო). გისმენთ... დინა ვაჩნაძე! გისმენო,
გისმენო, თბილისში მიემგზავრებით?! ამხანაგ სერგოს... სად უნდა
გნახოს თბილისში? იცის... კი, ვეტყვი, ნახვამდის. (ყურმილი უხალისოდ
გ. კანდელაკი

დალო) რა ლამაზია, ხმა-სულ ჩემ ნარგიზას მიუგავს... (ყურმილი აიღო)
შემიერთეთ პორტი. პორტის უფროსი, ჩქარა, ჯო! რევეკომი ვარ მით-
ხარით, ახლა უცხოეთში გემი თუ გადის? არ შეცდეთ! ნამეტანი კაი.
(ყურმილი დალო) მართალი უთქვამს. (ყურმილი აიღო.) რკინიგზის სადგუ-
რი, ჩქარა, დაკავებულია? გამოთიშე, რევეკომი ვარ, ჯო! ბურჭულაძე
ბრძანდებით? რევეკომი ვარ. მატარებელი თუ მიდის თბილისში?
ახლა გავიდა, ორთქლმავლის საყვირი? არა, არ ისმის. (ორთქლმავლის საყ-
ვირის ხმა) ნამეტანი კაი. (ყურმილი დალო) ჩვენში წასულა. თბილისი
ჩვენი, ჯო!

შემოდის სერგო

სერგო. ხვალ აზიზებს მოედანზე მიწას მივებარებთ ორმოცდა-
რობს, დანარჩენები სოფლებში წაასვენეს... სამშობლოსათვის დაღუ-
პული გმირების დასაფლავებაზე სიტყვას შენ იტყვი.

რიფათა. მე?!

სერგო. აჭარის მებრძოლი ახალგაზრდობის სახელით... რა გა-
ტრებებს?

რიფათა. წესით, მეც ამათთან უნდა ვიწვი, გვარდიელის ბრა-
ლი...

სერგო. გაჩუმი, ნეტავ ყველანი გადარჩენილიყვნენ.

გოგელია (გამოჩნდა). ამხანაგო სერგო, მახინჯილი გეახლა.

სერგო. სთხოვეთ ჩქარა, დაუყოვნებლივ... ჩვენ ახლა მივი-
ღებთ პატაკს, კარგი იყო რევეკომის წევრებიც დასწრებოდნენ.

რიფათა. საითაოდ ჩამოვურეკავ?

სერგო. დაგვიანდება. მოვიდა.

შემოდის მახინჯილი

მობრძანდით, მობრძანდით, გენერალო, სად არიან თქვენი თანამებრ-
ძოლები, შტაბი?

მახინჯილი. მისიას დამთავრებულად თვლიან, აღარ
ისურვებს... (გოლაჩენილი გენერალმა სერგოს საშუალება არ მისცა, კედელს
იჭიკინა, მისთვის სკამი შეეთავაზებინათ.) 1921 წლის 20 მარტს, დილის 9

საათზე ბრძოლა დამთავრდა. ქალაქსა და მის ოლქში არც ერთი შეი-
არაღებული ოკუპანტი აღარ არის. მოვახსენებთ რევეკომს, აჭარაში

ბირველ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ გიორგი მახინჯილის სარ-

დლობით ქართველ გენერალთა, ოფიცერთა და ჯარისკაცთა თავგან-
წირული და სისხლიანი ბრძოლით მოპოვებულია გამარჯვება. კომუ-

ნისტმა პოლიტკომისრებმა და მოხალისეებმა პირწმინდად შეასრულეს

დაკისრებული მოვალეობა. ჩაიბარეთ მტრისაგან გაწმენდილი ქართუ-
ლი მიწა.

სერგო. „მტრისაგან გაწმენდილი ქართული მიწა“, გენერალო,
რა დიდებულად უღერს.

მახინჯილი. ბატონო თავმჯდომარე, ქართველმა მეთა-
ურებმა და ჯარისკაცებმა კომუნისტების შთაგონებით ის გააკეთეს,

რაც არასდროს სხვა მთავრობის ბატონობის დროს. ეს არ წაგერომე-
ვთ, მიწის ხატმა რწმენა შეარყია, მთელი ოცდაათი საათის განმავ-

ლობაში ისინი იბრძოდნენ როგორც კომუნისტები.

სერგო. რევეკომის სახელით, ქართველი ხალხის სახელით — ვის-
თვისაც წმინდაა სამშობლოს მიწა, უდიდესი ზვიმის წუთებში, მად-

ლობის მეტი რა გვეთქმის.

მახინჯილი. მე გეტყვით იმას, რაც უთქმელი დაგრაათ.

(ბირველად ამ ხნის მანძილზე ხმას აუწევს.) მთელ ოლქში მტრის არც ერთი შე-
იარაღებული ჯარისკაცი აღარ არის-მეთქი, სიზუსტეს მოკლებულია.

სინამდვილეში, გათავისუფლებულ მიწაზე დგას მტრის ერთი ჯარის-
კაცი — გენერალი მახინჯილი! აი, რა უნდა გეთქვათ. იმედი მაქვს

უცხოეთში გამგზავრებაზე ხელს არ შემიშლით. მშვიდობით! (გოლაჩენი
ხელი გაუწოდა.)

რიფათა (იბღვლებს, მახინჯილს ფეხებში ჩაუღარდება). არ წახვი-
დეთ! გენერალო, თქვენ ყველაფერი გამოისყიდეთ. საქართველოში

დარჩით! წასვლა არ იფიქროთ! ჩემი სოფელი ლამაზია, გაღმა-გამო-
ღმა ქაქუთი ძმობას გაგიწევს, ყველას უყვარხართ. თქვენ ხომ ბალა-

ხის სიმაღლისა ხართ, გენერალო, საქართველოს მიწა თქვენი მთავა-
რი ხატი, ხატიონების დაჯა ვინ ღმერთგამწყრალს მოუვა აზრად. არ

წახვიდეთ!

სერგო. გენერალო, შეისმინეთ ყმაწვილის სიტყვა. დამერწმუნეთ,

ამ ბიჭმა ის გითხრათ, რასაც ყოველი პატიოსანი ქართველი ფიქრობს.

(ტლუფონის ზარი ხმაუცვლილი „სასწრაფოს“ აუწყებს. სერგომ ყურმილი აიღო.)

ხმა ტელეფონიდან. აჭარის რევეკომს. მხედველობაში მი-
იღეთ გენერალ მახინჯილის დამსახურება საბჭოთა ხელისუფლებისა-

თვის კრიტიკულ მომენტში, რაც სავსებით აჭარწყლებს წარსულს,
გენერალ მახინჯილს საშუალება მიეცით იცხოვროს ისე, როგორც

მას სურს. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის
ბიუროს მდივანი.

რიფათა. ნენეე!.. გენერალო, აღარსად წახვალ?

მახინჯილი. სადაც გული მიმიწევს — სოფელში წავალ,
გენახს ჩავყრი აბა, ყმაწვილებო, ნახვამდის... გორის მაზრაში ვარ,
თემის ნაპირებზე, სოფელი სასირეთი. (რიფათას მიუბრუნდება.) პაპა-

შენს ასლან გოგირტიძეს უთხარი, მაზნიაშვილმა შემოგიტვალა, კი ბაღში გაგიზრდია-თქო.

სერგო. წითელ ჯარს კვლავ თუ დასკირდით? მაზნიაშვილი. თქმის ნაპირებზე, სოფელი სასირეთი. ქართული მიწის სამსახურში მარად დავშობები. (მიღის.) სერგო. გააცილეთ... (გოგელია თან გაჰყვა.) დიახ, ისინი იბრძოდნენ როგორც კომუნისტები.

რიფათა (ველამ ტირილი წასვლა). ამისთანა კაცს ვნახავ? ვერა, ვერ ვნახავ...

სერგო. აღარ შემიძლია, ბიჭო, მეც ერთი გული მაქვს.

რიფათა. კაი, გავჩუმდები. დინა წავიდა.

სერგო (ელდნაკარავით). სად წავიდა?! რიფათა. თბილისში.

სერგო (ჩაჰკითხავს). ნამდვილად თბილისში? რიფათა. შევამოწმე.

სერგო (გულს მოეშვა). კარგი ხარ... (ბოლთას სცემს.) თბილისში? რიფათა. ჰო, თბილისში.

სერგო (თოქოს ყვირით). ნენეს გამომცხვარი მჭადი რა უყავი? რიფათა. აგერ მაქვს თოფრაკში. (მჭადი ამოიღო.) ნენე!.. ამ

ოცდაოთხ საათში ქვეყანა შეინძრა! ქალი მაინც ისე იყურება, რაეც ძველ დროში...

სერგო (მჭადს და ყველს შუაზე გატეხს). ნახევარი — შენ...

რიფათა. გნადლობთ.

სერგო. თუ მიკითხონ, სძინავს-თქო. რიფათა (მაგიდაზე თოფრაკი გააფინა, ზედ „სუფრა“ გააწყო. ტელეფონი ახმინდა. ყურმილში, ხმადაბლა). რეკომი გისმენთ. ქვევიდან რეკავ? თავმჯდომარეს არ სცალია. (ტელეფონის ჩხამ შორს, ჩაზნელებულ გასასვლელში სერგო შეეყოვნა, კვლავ ჯარი ახმინდა) გისმენთ. ხომ ვითხარი — თავმჯდომარეს არ სცალია... (სტე ტონით) ვინ ხალხი? ქაქუთელები? რა თქვი?! კაცი დაგვეკარგათ? რა კაცი, ჯო?.. ბალანა-კაცი? (ყურმილი ხელში შეათამაშა) მაგ ბალანამ ოცდაოთხ საათში ორი ქვეყანა გამოიცვალა და მესამე დაამყარა, სიკვდილში იყო და მზეს უყურებს.

ნარგიზას ხმა ყურმილიდან

- რიფათა, ბიჭო ცოცხალი ხარ?
- (გაბადრული რიფათა) მერე რაფერი ცოცხალი..
- ამხელა სახლში რის აკეთებ, ბიჭო?
- შენ გელოდები, ნარგიზა!
- ზღაპარი, ბიჭო?

— მერე რა ზღაპარი! (საქმინ კილოზე.) ყველა ამოუშვით, მთელი ქაქუთი, გაღმა-გამოღმა!

(ყურმილი დაღო, ზტერებულმა დარბაზი შემოირბინა.)

ტყეში ხარი შემეიარდა,

— გამო, გამო, გიშერაო...

(თანსოფლებთან შესახვედრად ემზადება.)
ზღაპარი იწყება!

შემოსასვლელში შუქი მატულობს.

მოოდიო!..

1969 წ.
თბილისი